აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS

ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS

ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

10-11 ოქტომბერი, 2024

დასკვნის წარდგენის თარიღი

2024 წლის 20 დეკემბერი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	კაროლინა ტიმკო განათლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგნეტო, მოლდოვა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოფიო ხუნდაძე შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თეა კასრაძე შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლიკა კვინჩია, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

1. ინფორმაცია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამია 2	პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირება	ფინანსები
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[1]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	ფინანსების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [2]	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 2018 წლის 31 აგვისტო გადაწყვეტილება No. 114	აკრედიტებული 2018 წლის 31 აგვისტო გადაწყვეტილება No. 115	აკრედიტებული 2019 წლის 5 მარტი გადაწყვეტილება No. 59

[1] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

2 (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[3]**

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში აკრედიტაცია განხორციელდა კლასტერში გაერთიანებული 3 საგანმანათლებლო პროგრამისთვის. ესენია: ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS, ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS და ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას (ძირითადი) აკრედიტებულ რეჟიმში 2011 წლიდან, ხოლო რეაკრედიტებულ რეჟიმში 2018 წლიდან,
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას აკრედიტებულ რეჟიმში 2012 წლიდან, ხოლო რეაკრედიტებულ რეჟიმში 2018 წლიდან,
- ფინანსების სამაგისტრო პროგრამას აკრედიტებულ რეჟიმში 2019 წლიდან.

პროგრამის მიხედვით კრედიტების მოცულობა და განაწილება შემდეგია:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ძირითადი) არის 240 ECTS, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება - 35 ECTS უნივერსიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისთვის, 38 ECTS ფუნდამეტური საგანმანათლებლო საგნებისთვის, 94 ECTS ძირითადი სპეციალობის საგნებისთვის, 39 ECTS დარგობრივი არჩევითი საგნებისთვის და 16 კრედიტი თავისუფალი კომპონენტებისთვის. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელია (8 სემესტრი).
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა არის 120 ECTS, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება - 94 ECTS სავალდებულო/ძირითადი სპეციალობის კურსებისთვის, 8 ECTS არჩევითი კურსებისთვის და 18 ECTS სამაგისტრო ნაშრომისთვის. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი),
- ფინანსების სამაგისტრო პროგრამა არის 120 ECTS, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება - 94 ECTS სავალდებულო/ძირითადი სპეციალობის კურსებისთვის, 8 ECTS არჩევითი კურსებისთვის და 18 ECTS სამაგისტრო ნაშრომისთვის. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი)

სამივე პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს კახა ბენდუქიძის კამპუსის შენობებში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №240, თბილისი, საქართველო, და პროგრამებს ადმინისტრირებას უწევს ბიზნესის სკოლა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

[3] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

აკრედიტაციის ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წვდომა ჰქონდათ OneDrive დისკზე. დისკზე განთავსებული იყო თვითშეფასების ანგარიში (თშა) და თანმხლები დოკუმენტაცია (პროგრამების დეტალური აღწერა, მათ შორის სასწავლო გეგმები, კურიკულუმები, სასწავლო კურსების სილაბუსები, განმახორციელებელი პერსონალის სიები და პირადი მონაცემები, ინფორმაცია სწავლის შედეგების, შეფასების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესახებ და ა.შ.) ინგლისურ და ქართულ ენებზე.

ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით განახორციელა ვიზიტი თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში 2024 წლის 10-11 ოქტომბერს. ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრებები შემდეგ ჯგუფებთან: ადმინისტრაციული პერსონალი, თვითშეფასების ჯგუფი, ყველა პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამების ხელმძღვანელები, ნაშრომების ხელმძღვანელები, ყველა პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. ვიზიტის დროს ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც დაწესებულებამ მოგვიანებით წარმოადგინა.

ვიზიტის პირველ დღეს ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის შენობები და გაეცნო სასწავლო პროცესისთვის არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მათ შორის ბიბლიოთეკას და სხვა ინფრასტრუქტურას.

დაწესებულებაში ვირტუალური ვიზიტის დასასრულს, ჯგუფი შეხვდა პროგრამის ხელმძღვანელებს, რათა წარმოედგინათ საწყისი დასკვნები. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და კონსტრუქციულ გარემოში.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის ყველას თანამშრომლობისა და ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობისათვის აკრედიტაციის ვიზიტისას.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

<u>პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS</u>

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<u>პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS</u>

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<u>პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS</u>

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**
  - **კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:**

- 2.4.1. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა დანერგოს პლაგიატის გამოვლენის ყოვლისმომცველი სისტემა აკადემიური კეთილსინდისიერების გასაძლიერებლად და სტუდენტთა ნაშრომების შეფასების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

- 4.1.1 რეკომენდებულია, დოქტორის ხარისხის მქონე მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვა კლასტერული პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად;

- 4.1.2. რეკომენდებულია, კლასტერის ყველა პროგრამაში პერსონალის სამეცნიერო აქტივობის გაძლიერება;

- 4.1.3. რეკომენდებულია, პერსონალის მართვის დოკუმენტში მოწვეული პერსონალის წლიური დატვირთვისა და მისი განაწილების პრინციპების შემოღება;

- 4.1.4. რეკომენდებულია, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვაში სტუდენტების საკონსულტაციო საათების გათვალისწინება.

- 4.2.1 რეკომენდებულია, დოქტორის ხარისხის მქონე მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვა ნაშრომების ხელმძღვანელებად;

- 4.2.2 რეკომენდებულია, დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობას, რაც მიზნად ისახავს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების გაძლიერებას;

- 4.3.1. რეკომენდებულია, პერსონალის კატეგორიებისთვის მოთხოვნების დადგენა და ამ წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებთან საქმიანობის შესრულების შეფასება, აგრეთვე შესაბამისი რეაგირების მექანიზმების შემუშავება აკადემიური პერსონალის კვლევისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის სისტემური და ეფექტური პროგრესის უზრუნველსაყოფად.

- 5.3.1 რეკომენდებულია, კლასტერის პროგრამების საორიენტაციო შედარება წამყვან საერთაშორისო საუნივერსიტეტო პროგრამებთან და მათი გამოცდილების გათვალისწინება.

  - **<u>რეკომენდაცია თითეული პროგრამის მიხედვით:</u>**

- ***<u>პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS</u>***

○ 1.4.1. რეკომენდებულია, სილაბუსებში შესაბამისი წინაპირობების გადახედვა/განსაზღვრა, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტის დაშვება საგანზე აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნისა და უნარების გარეშე, რაც უზრუნველყოფს შემდგომი კურსის წარმატებით შესწავლას.

○ 1.4.2. რეკომენდებულია, დარგის ძირითადი საგნები განისაზღვროს ორგანიზაციაში სტაჟირებაზე დაშვების წინაპირობად.

○ 2.1.1. რეკომენდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის, როგორც ერთადერთი უცხო ენის, მოთხოვნის გადახედვა ენის ცოდნის დონისთვის უფრო მაღალი ზღვრის დაწესებით, ან პროგრამაში ინგლისური ენის დაბალი დონიდან შეთავაზება, რათა სტუდენტებმა შეძლონ ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესება პროგრამის ფარგლებში, სანამ დაიწყებენ იმ კურსებს, სადაც ინგლისურენოვანი წიგნები სავალდებულო სახელმძღვანელოებადაა განსაზღვრული.

- ***<u>პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS</u>***

○ 1.4.1. რეკომენდებულია, სილაბუსებში შესაბამისი წინაპირობების გადახედვა/განსაზღვრა, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტის დაშვება საგანზე აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნისა და უნარების გარეშე, რაც უზრუნველყოფს შემდგომი კურსის წარმატებით შესწავლას.

○ 1.4.2 რეკომენდებულია, დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს გააცნობს ბიზნესის კვლევის სხვადასხვა მეთოდს (სწავლის შედეგის მისაღწევად - კურსდამთავრებული დამოუკიდებლად ატარებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის სპეციფიკურ კვლევას და შეიმუშავებს სამაგისტრო პროექტს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით).

○ 1.5.1. რეკომენდებულია, "ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების" და "კორპორაციული ფინანსების" კურსების შინაარსის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს სამაგისტრო დონისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების მიწოდებას.

○ 2.1.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტეტმა უზრუნველყოს სამაგისტრო პროგრამაზე მიღებული იქნებიან მხოლოდ ინგლისური ენის საკმარისი კომპეტენციის მქონე კანდიდატები. ამისათვის, უნივერსიტეტმა უნდა მოითხოვოს ენის კომპეტენციის ოფიციალური დადასტურება, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც შიდა გამოცდის მეშვეობით, ასევე შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენით.

○ 3.2.1. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ განსაზღვროს ერთ ხელმძღვანელზე სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის ზღვარი, რათა შენარჩუნდეს ნაშრომის ხელმძღვანელობის ხარისხი და უზრუნველყოფილ იქნას უფრო ინდივიდუალური უკუკავშირი, რაც საბოლოოდ გააუმჯობესებს სტუდენტთა აკადემიურ გამოცდილებას.

○ 4.1.1. რეკომენდებულია დოქტორის ხარისხის მქონე ან/და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მეტად ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ კვლევით კომპეტენციებთან დაკავშირებული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ***<u>პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS</u>***

- 1.4.1 რეკომენდებულია, იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც სამუშაო გამოცდილება არ აქვთ, სავალდებულო კომპონენტად განისაზღვროს ორგანიზაციაში სტაჟირება მინიმუმ 5 ECTS კრედიტის მოცულობით.

- 1.4.2. რეკომენდებულია, ახალი სასწავლო კურსების დამატება, რომლებიც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს სიღრმისეულად შეისწავლონ საბანკო სისტემის, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების საქმიანობა, ფინანსური რეგულაციები და ფინანსური რისკების მართვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობა ფინანსების დარგობრივ მახასიათებელთან.

- 1.4.3. რეკომენდებულია, დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს გააცნობს ბიზნესის კვლევის სხვადასხვა მეთოდს (სწავლის შედეგის მისაღწევად - კურსდამთავრებული დამოუკიდებლად ატარებს ფინანსების სფეროსთვის სპეციფიკურ კვლევას და შეიმუშავებს სამაგისტრო პროექტს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით).

- 1.5.1. რეკომენდებულია, "ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების" და "კორპორაციული ფინანსების" კურსების შინაარსის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს სამაგისტრო დონისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების მიწოდებას.

- 2.1.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტეტმა უზრუნველყოს სამაგისტრო პროგრამაზე მიღებული იქნებიან მხოლოდ ინგლისური ენის საკმარისი კომპეტენციის მქონე კანდიდატები. ამისათვის, უნივერსიტეტმა უნდა მოითხოვოს ენის კომპეტენციის ოფიციალური დადასტურება, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც შიდა გამოცდის მეშვეობით, ასევე შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენით.

- 3.2.1. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ განსაზღვროს ერთ ხელმძღვანელზე სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის ზღვარი, რათა შენარჩუნდეს ნაშრომის ხელმძღვანელობის ხარისხი და უზრუნველყოფილ იქნას უფრო ინდივიდუალური უკუკავშირი, რაც საბოლოოდ გააუმჯობესებს სტუდენტთა აკადემიურ გამოცდილებას.

- 4.1.1. რეკომენდებულია დოქტორის ხარისხის მქონე ან/და აქტიური სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მეტად ჩართვა, რაც უზრუნველყოფს მაგისტრანტების მიერ კვლევითი კომპეტენციების სწავლის შედეგის მიღწევას.

- **რჩევები**

- <u>**კლასტერის ზოგადი რჩევები:**</u>

- 1.5.1 სასურველია, საბოლოო შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის აწევა, რათა ის შეესაბამებოდეს პროგრამის დონესა და სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრულ სტანდარტებს.

- 1.5.2 სასურველია, შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრისა და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ჯამი იყოს მინიმუმ 41 ქულა, რაც სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვებისთვისაა საჭირო.

- 3.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სპეციალური აკადემიური წერის მოდული, რომელიც ხელს შეუქწყობს სტუდენტების კვლევითი უნარების გაძლიერებას და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვის უზრუნველსაყოფას.

- 3.1.2. სასურველია, სტუდენტების გლობალური კომპეტენციებისა და აკადემიური ქსელების გაძლიერების მიზნით, გაფართოვდეს მათი საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობის შესაძლებლობები, როგორიცაა გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო კონფერენციები.

- 4.1.1 სასურველია გადაიხედოს პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რათა შემცირდეს სტუდენტების რაოდენობა ერთ აკადემიურ პერსონალზე.

- 4.1.2 სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს მოწვეული პერსონალის გადინებას, რათა მომავალში უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლების ხარისხი.

- 4.2.1 სასურველია ნაშრომების ხელმძღვანელობაში დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პერსონალის ჩართვა.

- 4.5.1. სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის არსებობდეს ცალკე ბიუჯეტი, რათა ნათელი იყოს პროგრამების ფინანსური მდგომარეობა და უზრუნველყოფილ იქნას მათი მდგრადობა.

- 5.1.1 სასურველია, პროგრამებმა პერიოდულად ისარგებლონ კოლეგიალური შეფასებითა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით.

  - <u>**რჩევები თითეული პროგრამისთვის**</u>

- <u>***პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS***</u>

- 1.2.1. სასურველია, მოხდეს პირველი შედეგის ხელახალი ფორმულირება, რათა გამოვლინდეს მისი კავშირი ბიზნეს სფეროსთან.

- 1.4.1 სასურველია ორგანიზაციაში სტაჟირება გადატანილ იქნას პროგრამის დარგობრივი არჩევითი კურსების კომპონენტიდან სასწავლო კურსების ძირითად კომპონენტში, რათა ყველა სტუდენტს მიეცეს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის, ანალიტიკური და ტექნიკური უნარების მოქმედ ორგანიზაციაში გამოყენებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა.

- <u>***პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS***</u>

- 1.4.1 სასურველია, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის ორგანიზაციაში სტაჟირების შეთავაზება, რათა მათ შეძლონ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის, ანალიტიკური და ტექნიკური უნარების გამოყენება მოქმედ ორგანიზაციაში, ეს დაეხმარებას სტუდენტს თეორიული ცოდნის აქტივაციაში. სტაჟირებაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს დარგის სავალდებულო, საკვანძო საგნები.

  - 1.4.2. სასურველია, სადიპლომო პროექტის მომზადების პროცესში სტუდენტის მხარდაჭერის მიზნით პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი ან არსებულ კურსებს დაემატოს სასწავლო მოდული,

რომელიც სტუდენტებს გამოუმუშავებს სადიპლომო პროექტის ტექნიკური გაფორმებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს.

○ 1.4.3. სასურველია, იმ სასწავლო კურსების სახელწოდებების შეცვლა, რომლებიც იდენტურია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებში გაუგებრობა, თითქოს ორივე საფეხურზე ერთი და იგივე საგნები ისწავლება.

- ***<u>პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS</u>***

○ 1.4.1. სასურველია, სადიპლომო პროექტის მომზადების პროცესში სტუდენტის მხარდაჭერის მიზნით პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი ან არსებულ კურსებს დაემატოს სასწავლო მოდული, რომელიც სტუდენტებს გამოუმუშავებს სადიპლომო პროექტის ტექნიკური გაფორმებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს.

○ 1.4.2. სასურველია, არჩევითი საგნების კომპონენტებს დაემატოს ინოვაციური კურსები ფინანსების ისეთ ახალ სფეროებში, როგორიცაა ფინტექი, ბლოკჩეინი, კრიპტოვალუტები, მწვანე ფინანსები და სხვა.

○ 1.4.3 სასურველია, იმ სასწავლო კურსების სახელწოდებების შეცვლა, რომლებიც იდენტურია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებში გაუგებრობა, თითქოს ორივე საფეხურზე ერთი და იგივე საგნები ისწავლება.

○

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

○ ბიზნეს სკოლას აქვს კარგი რეპუტაცია საგანმანათლებლო ბაზარზე;

○ დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების) მაღალი კმაყოფილება

○ მუდმივად განახლებადი ინფრასტრუქტურა

○ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის სტიპენდიები

○ მჭიდრო თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან

○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პრაქტიკული გამოცდილება

○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების (BT, FA1, FA2, MA1, MA2, FBT) ACCA-ს მიერ აღიარება

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა თავისუფალი უნივერსიტეტის წერილი კლასტერის შეფასების შედეგებთან დაკავშირებით, რომელიც 3 პროგრამისგან შედგება: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამა და ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (№04/12-69, 11.12.2024).

ექსპერტთა ჯგუფმა გულდასმით შეისწავლა უნივერსიტეტის პოზიცია და გადაწყვიტა ნაწილობრივ დაეთანხმოს უნივერსიტეტს:

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა უნივერსიტეტის პოზიციას რეკომენდაცია 3.1.1-თან დაკავშირებით "რეკომენდებულია სტუდენტების გლობალური კომპეტენციებისა და აკადემიური ქსელების გაძლიერების მიზნით, გაფართოვდეს მათი საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობის შესაძლებლობები, როგორიცაა გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო კონფერენციები" და გადაიტანა იგი რჩევებში. ვეთანხმებით, რომ უნივერსიტეტს აქვს ყველა საჭირო სერვისი სტუდენტთა საერთაშორისო აქტივობების მხარდასაჭერად, თუმცა საერთაშორისო აქტივობებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა მცირეა, ამიტომ უნივერსიტეტს ვურჩევთ მეტად წაახალისოს სტუდენტებში საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების სარგებელი. შედეგად, სტანდარტი 3 სამივე პროგრამისთვის შეფასდა როგორც შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით:

• „ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 240 ECTS
1.4.1 რეკომენდაცათან დაკავშირებით - „რეკომენდებულია სილაბუსებში შესაბამისი წინაპირობების გადახედვა/განსაზღვრა, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტის დაშვება საგანზე აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნისა და უნარების გარეშე, რაც უზრუნველყოფს შემდგომი კურსის წარმატებით შესწავლას" და 1.4.2. რეკომენდაციასთან დაკავშირებთ - „რეკომენდებულია დარგის ძირითადი საგნები განისაზღვროს ორგანიზაციაში სტაჟირებაზე დაშვების წინაპირობად" - ექსპერტთა ჯგუფი ნაწილობრივ დაეთანხმა უნივერსიტეტის პოზიციას, რაც შეეხება წინაპირობებს კურსებისთვის "ადამიანური რესურსების მართვა" და "ბიზნესის შეფასების მართვა", მაგრამ კვლავ რჩება თავის პოზიციაზე წინაპირობების დაწესებასთან დაკავშირებით შემდეგი კურსებისთვის - „ახალი პროდუქტის განვითარება", „ბიზნესის მოდელირება", „ბიზნეს პროცესების მოდელირება", „ლიდერობა და მოტივაცია", „მონაცემთა ბაზების მართვა", „ორგანიზაციაში სტაჟირება". ზემოაღნიშნული საგნები ძირითადად შეთავაზებულია სტუდენტებისთვის მე-6 - მე-8 სემესტრებში და მათი წინაპირობები ისწავლება წინა სემესტრებში. აუცილებელია სილაბუსებში შესაბამისი წინაპირობების მითითება, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტის დაშვება საგანზე აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნისა და უნარების გარეშე.

• ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, 120 ECTS
რეკომენდაცია 1.4.1-თან დაკავშირებით - „რეკომენდებულია სილაბუსებში შესაბამისი წინაპირობების გადახედვა/განსაზღვრა, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტის დაშვება საგანზე აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნისა და უნარების გარეშე" - ჩვენ ნაწილობრივ დავეთანხმეთ უნივერსიტეტის პოზიციას კურსის "ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია" წინაპირობებთან დაკავშირებით, მაგრამ კვლავ ვრჩებით ჩვენს პოზიციაზე

წინაპირობების დაწესებასთან დაკავშირებით შემდეგი კურსებისთვის - „MARKSTRAT“, „მარკეტინგული კვლევა“, „პროექტის მართვა“, „ინოვაციური ბიზნესის მართვა“. ზემოაღნიშნული საგნების წინაპირობები ისწავლება პროგრამაში. აუცილებელია სილაბუსებში შესაბამისი წინაპირობების მითითება რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტის საგანზე დაშვება აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნისა და უნარების გარეშე.

რეკომენდაცია 1.4.2-თან დაკავშირებით - „რეკომენდებულია იმ სასწავლო კურსების სახელწოდებების შეცვლა, რომლებიც იდენტურია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებში გაუგებრობა, თითქოს ორივე საფეხურზე ერთი და იგივე საგნები ისწავლება“. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მომავალი კანდიდატებისთვის გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია ერთნაირი სახელწოდების მქონე კურსებისთვის სახელების გადარქმევა. ამიტომაც, საბოლოო დასკვნაში ეს რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევებში.

რეკომენდაცია 1.4.3-თან დაკავშირებით -„ რეკომენდებულია დარგის ძირითადი საგნები განისაზღვროს ორგანიზაციაში სტაჟირებაზე დაშვების წინაპირობად“ - ეს იყო ტექნიკური შეცდომა და ამოღებულ იქნა საბოლოო დასკვნიდან. თუმცა, ჩვენ დავუმატეთ 1.4.1 რჩევას წინაპირობების ნაწილი და საბოლოო დასკვნაში ის შემდეგნაირად ჟღერს - 1.4.3. „სასურველია პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის ორგანიზაციაში სტაჟირების შეთავაზება, რათა მათ შეძლონ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის, ანალიტიკური და ტექნიკური უნარების გამოყენება მოქმედ ორგანიზაციაში, ეს დაეხმარებას სტუდენტს თეორიული ცოდნის აქტივაციაში. სტაჟირებაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს დარგის სავალდებულო, საკვანძო საგნები“.

სხვა დაკვირვებებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას და რეკომენდაციები უცვლელი რჩება.

• ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა აკრედიტაციის შემდეგ პროგრამებმა განიცადა შემდეგი ცვლილებები.

<u>პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 240 ECTS</u>

- საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად გადაიხედა ჩარიცხვის წინაპირობები მიღების წინაპირობებად განისაზღვრა ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა და მათემატიკა ან ისტორია
- სასწავლო გეგმას დაემატა ახალი საგანი "შესავალი მონაცემთა მეცნიერებაში", რაც სტუდენტებს ახალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე პროგრამირების მეთოდოლოგიების გაცნობის შესაძლებლობას აძლევს.
- სპეციალობის არჩევითი საგნებით ჩანაცვლდა კონცენტრაციები, რაც ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს სტუდენტების პროფესიული განვითარების გასაძლიერებლად.

<u>პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS</u>

- პროგრამა გამდიდრდა დარგობრივი კურსებით: "მარკეტინგი" და "MARKSTRAT"-ი ჩაანაცვლებს "სტრატეგიული მარკეტინგის" კურსს, ასევე გაიზარდა "ფინანსური მათემატიკისა" და "EXCEL-ში მოდელირების" შინაარსი და საათობრივი დატვირთვა. პროგრამის ძირითად კურსებს დაემატა "ბიზნესის შეფასება და ფინანსური ანგარიშგება", რომელიც ადრე არჩევითი საგანი იყო. ასევე დაემატა ახალი არჩევითი კურსები: "ფინანსური დერივატივები", "ინოვაციური ბიზნესის მართვა", "კორპორაციული ფინანსები II" და "თამაშთა თეორია".

<u>პროგრამა 3 ფინანსები, 120 ECTS</u>

- გარე შეფასების პროცესის შედეგებისა და თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით გადაიხედა რამდენიმე კურსი. გადამუშავდა და დარგობრივი შინაარსითა და თემებით გამდიდრდა "ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების", "ბიზნეს სამართლისა" და "დაბეგვრის" კურსები.
- არჩევითი კურსის შერჩევას დაემატა ექვსი ახალი არჩევითი კურსი: პრაქტიკა ორგანიზაციაში, ფინანსური დერივატივები, ინოვაციური ბიზნესის მართვა, კორპორაციული ფინანსები II, თამაშთა თეორია, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები. ასევე შემოღებულ იქნა არჩევითი კომპონენტი "პრაქტიკა ორგანიზაციაში", რომელიც სტუდენტებს პროფესიული სამუშაო გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევს.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

სტანდარტი/კომპონენტი	**შეფასების მიდგომები**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა აკრედიტაციისთვის წარმოადგინა კლასტერი, რომელიც შედგება შემდეგი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისგან:

- ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS
- ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS
- ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS

კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და ითვალისწინებს სწავლის სფეროს - ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების - სპეციფიკას, ასევე საფეხურს (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა). პროგრამების მიზნებია აღჭურვოს კურსდამთავრებული დარგის შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით. ორიენტირებულია მოამზადოს კურსდამთავრებულები დარგისა და საზოგადოების განვითარებაში ეფექტური წვლილის შესატანად

პროგრამების მიზნები შეესაბამება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისიას შექმნას სწავლის, სწავლებისა და შემოქმედებისთვის ხელსაყრელი გარემო, დაეხმაროს სტუდენტებს კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებაში, მოამზადოს მოქნილი და წარმატებული პროფესიონალები ცვალებადი ბიზნეს სამყაროსთვის, უზრუნველყოს განათლება ქართულ ენაზე.

ბიზნესის სკოლის პროგრამები შესაბამისობაშია დარგობრივ კომპეტენციებთან და ტენდენციებთან, რომელთა მიზანია მაღალკომპეტენტური და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება დღევანდელ სწრაფად ცვალებად გარემოსთვის, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების, ტენდენციებისა და საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით. შესაბამისად, პროგრამები ასახავს

ინტერნაციონალიზაციის მთავარ ასპექტებს, დარგის თავისებურებებსა და საერთაშორისო ტენდენციებს.

პროგრამების მიზნები და სხვა დეტალები (მიზნები, შედეგები, სასწავლო კურსები და სემესტრული გეგმა, მიღების დოკუმენტაცია და სხვ.) ხელმისაწვდომია პროგრამაში ჩართული პირებისთვის და საჯაროდ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: საბაკალავრო პროგრამა: https://freeuni.edu.ge/en/educational-programs/?Programs=160 –სამაგისტრო პროგრამები: https://freeuni.edu.ge/en/educational-programs/?Programs=1603

აღწერა და ანალიზი -

პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიონალები, რომლებსაც შეეძლებათ:

- ცვალებად გარემოსთან სწრაფი ადაპტაცია, გამოწვევების იდენტიფიცირება და სწრაფი რეაგირება
- ინოვაციების დანერგვა
- კრიტიკული და კრეატიული აზროვნება
- თვითგანვითარებისთვის მუდმივი მზაობა და უნარი
- პროფესიონალური ურთიერთობა და მენეჯმენტის ტექნიკის გამოყენება როგორც ადამიანებთან, ასევე მართვის ტექნოლოგიებთან.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ავტომატურად აღიარებული აქვთ ACCA-ს ექვსი გამოცდა (BT, FA1, FA2, MA1, MA2, FBT) დამატებითი გადასახადის გარეშე, რაც მათ პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს.

პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ითვალისწინებს დარგისა და საფეხურის სპეციფიკას და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებისთვის საჭირო სათანადო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.

პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS

სამაგისტრო პროგრამის მიზანია შექმნას სასწავლო გარემო ისეთი პროფესიონალების მოსამზადებლად, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ბიზნეს გადაწყვეტილებებზე და შედეგებზე საშუალო და მაღალ დონეზე საწარმოებში.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნებია:

- ბიზნესის მართვის ინსტრუმენტების თეორიული ცოდნის გაღრმავება და ბიზნეს პროცესებში გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარება
- კომპლექსური პრაქტიკული ამოცანებისა და გამოწვევების გადაჭრის უნარის ჩამოყალიბება,
- შეზღუდული რესურსების პირობებში კომპანიის ღირებულების ზრდისთვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარის გაუმჯობესება

პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ითვალისწინებს დარგისა და საფეხურის სპეციფიკას და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებისთვის საჭირო სათანადო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.

პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS

სამაგისტრო პროგრამის მიზანია შექმნას გარემო ისეთი პროფესიონალების მოსამზადებლად, რომლებსაც ექნებათ საჭირო ტექნიკა და ინფორმაცია კომპანიებისა და პროექტების ფინანსური საკითხების შეფასების, კრეატიული მიდგომის, გადაჭრისა და ინფორმირებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

სამაგისტრო პროგრამის მიზნებია:

- თეორიული ცოდნის გაღრმავება ფინანსურ დისციპლინებში;
- კომპანიებსა და პროექტებში ფინანსური საკითხების შეფასების, კრეატიული მიდგომისა და გადაჭრისთვის საჭირო ტექნიკებისა და ინფორმაციის შერჩევის უნარის ჩამოყალიბება
- გააუმჯობესოს სტუდენტების ინფორმირებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ითვალისწინებს დარგისა და საფეხურის სპეციფიკას და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებისთვის საჭირო სათანადო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის მისიის განაცხადი https://freeuni.edu.ge/en/about-us/?about-us=Mission;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: : https://freeuni.edu.ge/en;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფი შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	**x**	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები ეფუძნება უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს ბიზნესის ადმინისტრირებაში.

ფინანსების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ეფუძნება უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს ფინანსებში.

პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დარგის წარმომადგენლების მოსაზრებები. ამან უზრუნველყო პროგრამების სწავლის შედეგების ლოგიკური შესაბამისობა მის მიზნებთან, სწავლის სფეროს სპეციფიკასთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და ლოგიკურად დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან, დარგისა და სწავლების საფეხურის სპეციფიკასთან და იმ ცოდნასთან, უნარებთან, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობასთან, რომელსაც სტუდენტები იძენენ შესაბამისი პროგრამის დასრულების შემდეგ.

სწავლის შედეგები კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს განაგრძონ სწავლა სამაგისტრო ან სადოქტორო საფეხურზე.

აღწერა და ანალიზი -

პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და თანმხლები დოკუმენტების თანახმად, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებული:

1. გაიაზრებს რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება; შეუძლია რაოდენობრივად აზროვნება; ფლობს პროფესიული განვითარებისთვის საჭირო მრავალმხრივ საბაზისო ცოდნასა და უნარებს, რომელსაც სთავაზობს უნივერსიტეტის ზოგადი განათლების მოდული; იღებს ეთიკურ გადაწყვეტილებებს მორალურ ღირებულებებზე დაყრდნობით და აცნობიერებს მსოფლიოსა და საზოგადოების მრავალფეროვნებას.

2. გაიაზრებს ბიზნესის არსს, მისი საქმიანობის სფეროებს, შესაძლებლობებს, შეზღუდვებსა და გამოწვევებს; განიხილავს ბიზნესის მართვის ძირითად კონცეფციებს.

3. აღწერს ბიზნეს გარემოს, ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებსა და მასზე მოქმედ ფაქტორებს; გაიაზრებს ბიზნეს ტრანზაქციების არსსა და მასთან დაკავშირებულ პროცესებს.

4. იკვლევს და აანალიზებს ბიზნეს საქმიანობას, ავლენს პრობლემებს და შეიმუშავებს გადაწყვეტილებებს.

5. შესაბამისი მეთოდების გამოყენებით განსაზღვრავს კომპანიის ღირებულებასა და ზრდის შესაძლებლობებს.

6. ავლენს ბიზნეს რისკებს და აყალიბებს მათი შემცირების სტრატეგიებს.

7. შეიმუშავებს, ახორციელებს და წარადგენს კვლევით/პრაქტიკულ პროექტებს ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებთან დაკავშირებით.

8. გაიაზრებს ლიდერობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას გუნდურ გარემოში და მოქმედებს შესაბამისი პრინციპების დაცვით.

9. იცის და ეფექტურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

10. გაიაზრებს ბიზნესისა და კორპორაციული ეთიკის პრინციპებსა და ღირებულებებს.

11. განსაზღვრავს პირადი სწავლის საჭიროებებს და შეიმუშავებს პროფესიული განვითარების გეგმებს.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის 11 სწავლის შედეგიდან ათი ასახავს ბაკალავრის საფეხურისთვის შესაბამის ცოდნასა და უნარებს, ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებისა და სპეციფიკაციების გათვალისწინებით.

პირველ სწავლის შედეგთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ის ეხება ზოგად ცოდნას, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება სასკოლო განათლებას, ვიდრე ბაკალავრიატის საფეხურს. ვინაიდან უნივერსიტეტი თავის თავს მოიაზრებს როგორც ბიზნეს სკოლა, მიზანშეწონილია ამ სწავლის შედეგის ბიზნესის სფეროსთან ადაპტირება.

პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS

თვითშეფასების ანგარიშისა და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დამხმარე დოკუმენტების მიხედვით, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული:

1. მკაფიოდ იაზრებს ბიზნესის არსს, მისი საქმიანობის სფეროებს, შესაძლებლობებს, შეზღუდვებსა და გამოწვევებს; ჰოლისტურად აანალიზებს ბიზნესის მართვის ძირითად კონცეფციებს.

2. კრიტიკულად განიხილავს ბიზნეს სტრატეგიების საკვანძო საკითხებს და ასაბუთებს პირად მოსაზრებებს.

3. აანალიზებს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს და აყალიბებს სტრატეგიებს ბიზნესის მართვის მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებით.

4. აანალიზებს ბიზნეს საქმიანობას, გამოავლენს პრობლემებს და ავითარებს ორიგინალურ გადაწყვეტილებებს.

5. შესაბამისი კვლევის მეთოდებისა და სტატისტიკური მონაცემთა ანალიზის გამოყენებით აყალიბებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ზრდის კომპანიის ღირებულებას.

6. დამოუკიდებლად ატარებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის სპეციფიკურ კვლევას და ავითარებს სამაგისტრო პროექტს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით.

7. დამოუკიდებლად ავითარებს და მართავს სხვადასხვა ტიპის კომპლექსურ პროექტებს ახალ, გაუთვალისწინებელ და/ან მულტიდისციპლინურ გარემოში.

8. ეფექტურად წარადგენს (ზეპირი და/ან წერილობითი) არგუმენტებსა და დასკვნებს როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეებთან.

9. კრიტიკულად იაზრებს და აფასებს ბიზნესისა და კორპორატიული ეთიკის პრინციპებსა და ღირებულებებს.

10. განსაზღვრავს პირადი სწავლის მოთხოვნებს და შეიმუშავებს პროფესიული განვითარების გეგმებს.

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ათი სწავლის შედეგი ასახავს ბაკალავრის დონისთვის შესაბამის ცოდნასა და უნარებს, ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის მოთხოვნებისა და სპეციფიკაციების გათვალისწინებით.

პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS

თვითშეფასების ანგარიშისა და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დამხმარე დოკუმენტების მიხედვით, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული:

1. მკაფიოდ იაზრებს და ჰოლისტურად შეისწავლის ფინანსების შემდეგ სფეროებს: ფინანსური სისტემა, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, რისკები და ინვესტიციები, ფინანსური მენეჯმენტი და სტრატეგიები.

2. განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკას ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

3. გამოავლენს კომპანიის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს ინოვაციური მიდგომების გამოყენებით.

4. საფუძვლიანად აანალიზებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, რისკების, დანახარჯებისა და სარგებლის გათვალისწინებით მისი მდგრადი განვითარებისთვის. დამოუკიდებლად იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს ბიზნეს ღირებულებების, სამართლებრივი გარემოსა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით.

5. შეიმუშავებს ინვესტიციების მოზიდვის, ფინანსური რესურსების განაწილებისა და გამოყენების სტრატეგიებს, ბიზნეს მოდელებსა და პროექტებს და აფასებს მათ ეფექტიანობას.

6. დამოუკიდებლად ატარებს ფინანსების სფეროსთვის სპეციფიკურ კვლევას და წერს სამაგისტრო პროექტს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სტანდარტების გამოყენებით. ეფექტურად აწვდის შედეგებს დაინტერესებულ მხარეებს.

7. კრიტიკულად იაზრებს და აფასებს ბიზნესისა და კორპორატიული ეთიკის პრინციპებსა და ღირებულებებს.

8. განსაზღვრავს პირადი სწავლის მოთხოვნებს და შეიმუშავებს პროფესიული განვითარების გეგმებს.

ფინანსების სამაგისტრო პროგრამის რვა სწავლის შედეგი ასახავს მაგისტრის დონისთვის შესაბამის ცოდნასა და უნარებს, ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის მოთხოვნებისა და სპეციფიკაციების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://freeuni.edu.ge/en;
- საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმი;
- საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები;
- დარგობრივი მახასიათებლები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS

რჩევები:

- 1.2.1. სასურველია, მოხდეს პირველი შედეგის ხელახალი ფორმულირება, რათა გამოვლინდეს მისი კავშირი ბიზნეს სფეროსთან.

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	x	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

თავისუფალი უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მოიცავს მიდგომებისა და მეთოდების ფართო სპექტრს, რომელიც შექმნილია სწავლის მიღწევების ეფექტური შეფასებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.

თითოეული კურსის/საგნის სილაბუსში განსაზღვრულია მისი სწავლის შედეგები და თითოეული მათგანისთვის შერჩეულია შეფასების შესაბამისი მეთოდი. სწავლის შედეგების შეფასების შერჩეული მეთოდი იყენებს ცოდნის შემოწმების ისეთ ტექნიკებს, რომლებიც რელევანტური და შესაბამისია კონკრეტულ საგანმანათლებლო კურსში განსაზღვრული სწავლის შედეგის მისაღწევად. სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმვა არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ჩართულნი არიან ლექტორი, დეკანი ან პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამების განვითარების ვიცე-რექტორი და ფაკულტეტის განვითარების მენეჯერი.

სწავლის შედეგები განისაზღვრება ლექტორის, დეკანის/პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამების განვითარების ვიცე-რექტორის ერთობლივი ძალისხმევით, რათა უზრუნველყოფილ იქნას კურსის მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან. საგანმანათლებლო კურსებში გათვალისწინებული შეფასების სისტემა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების შესაბამისად (2007 წლის 5 იანვრის №3

ბრძანება "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ"). კერძოდ, შეფასების სისტემა შედგება საშინაო დავალებების, შუალედური და დასკვნითი შეფასებისგან. თითოეული შეფასებისთვის განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები. საგნის ჩასაბარებლად საჭიროა 100 ქულიდან მინიმუმ 60%-ის მიღება. შეფასების სისტემა და შეფასების სკალა აღწერილია თითოეულ სილაბუსში.

სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტად გამოიყენება კურიკულუმის რუკა. კურიკულუმის რუკის მონაცემების მიხედვით ხდება პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების რეალისტური ანალიზი სასწავლო კურსებთან მიმართებაში. რუკა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორ და რომელი კურსები მიგვიყვანს პროგრამის აღნიშნულ სწავლის შედეგებამდე. უსდ-ს განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები, შესაბამის დოკუმენტებში მოცემულია კურსების შესრულების ინდიკატორები, რომლებიც გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის დონის შესაფასებლად. რეგულარულად ტარდება შედეგების მონიტორინგი და წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან შედარება.

ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები ავსებენ რაოდენობრივ და თვისებრივ კითხვარებს თითოეული კურსის სწავლის შედეგებზე. კითხვარების შევსებაში ასევე მონაწილეობენ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პერიოდულად, უფრო ღრმა ანალიზისთვის, ტარდება თვისებრივი კვლევები ფოკუს ჯგუფებთან, ასევე ინდივიდუალური შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ხდება მაკორექტირებელი ქმედებები და, შესაბამისად, განიხილება შედეგები კურსის შინაარსთან მიმართებაში პროგრამების მოდიფიკაციისა და გაუმჯობესების, სწავლის შედეგების, შეფასების და სწავლების მეთოდების, ასევე რესურსების გადახედვის მიზნით. უსდ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებთან.

აღწერა და ანალიზი -

პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შედგენილია კურიკულუმის რუკის შესაბამისად და მოიცავს სულ 60 შესრულების ინდიკატორს (PI), რომლებიც კონკრეტულად არის განსაზღვრული სწავლის 11 შედეგიდან თითოეულისთვის. შეფასების გეგმას აქვს 4-წლიანი პერიოდი (2024-2028). შეფასება დასრულდება 2027-2028 სასწავლო წლის ბოლოს, როდესაც განახლებული პროგრამის პირველი კურსდამთავრებულები დაასრულებენ სწავლას, რაც მოგვცემს სწავლის შედეგების სრულად შეფასების შესაძლებლობას.

პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შედგენილია კურიკულუმის რუკის შესაბამისად და მოიცავს 44 შესრულების ინდიკატორს (PI), რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის 10 სწავლის შედეგისთვის. შეფასების გეგმას აქვს 2-წლიანი პერიოდი (2024-2026). შეფასება დასრულდება 2025-2026 სასწავლო წლის ბოლოს, განახლებული პროგრამის პირველი კურსდამთავრებულების გამოშვების შემდეგ, რაც მოგვცემს სწავლის შედეგების სრულად შეფასების შესაძლებლობას.

პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS

ფინანსების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა შედგენილია კურიკულუმის რუკის შესაბამისად და მოიცავს 32 შესრულების ინდიკატორს (PI), რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის 8 სწავლის შედეგისთვის. შეფასების გეგმას აქვს 2-წლიანი პერიოდი (2024-2026). შეფასება დასრულდება 2025-2026 სასწავლო წლის ბოლოს, განახლებული პროგრამის პირველი კურსდამთავრებულების გამოშვების შემდეგ, რაც მოგვცემს სწავლის შედეგების სრულად შეფასების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამები
- საგნების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმები;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამების დამსაქმებლებთან.
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ ჩამოყალიბებული და დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს რომ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მეთოდოლოგიას.

პროგრამის შემუშავება არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობენ ბიზნეს სკოლის - ESM - ის (მენეჯმენტის ევროპული სკოლა) აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. აღნიშნული მრავალფეროვანი ჩართულობა ადასტურებს ყოვლისმომცველ და თანამშრომლობით მიდგომას და უზრუნველყოფს, რომ პროგრამა აკმაყოფილებს ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის და ECTS - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან და მოიცავს 8 აკადემიურ სემესტრს.

სამაგისტრო პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან და მოიცავს 4 აკადემიურ სემესტრს.

ორივე დონისთვის 1 კრედიტი = 25 საათს.

პროგრამების სასწავლო კურსების დატვირთვა განაწილებულია ისე, რომ სტუდენტი ეტაპობრივად იღებს სიღრმისეულ დარგობრივ ცოდნას.

კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს მის უნიკალურობას. პროგრამები სტრუქტურირებულია ისე, რომ უზრუნველყოს შესაბამისობა მინიჭებულ კვალიფიკაციებთან. პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა ძირითად შემთხვევაში უზრუნველყოფს პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ასახავს კვალიფიკაციის სპეციფიკურ მოთხოვნებს. პროგრამების სტრუქტურა ძირითადად ლოგიკური და თანმიმდევრულია. სწავლების და კვლევის კომპონენტები, მათ შორის ინდივიდუალური კურსები, ძირითადად ორგანიზებული და განვითარებულია თანმიმდევრულად და უზრუნველყოფს ლოგიკურ პროგრესს. შემდგომი კომპონენტებზე მიღების წინაპირობები ძირითადად ადეკვატურად არის განსაზღვრული პროგრამების მთლიანობის შესანარჩუნებლად. პროგრამები ითვალისწინებს კვლევის ახალ შედეგებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. პროგრამების შინაარსი, სწავლის სფეროს სპეციფიკის და პროგრამის დონის გათვალისწინებით, მოიცავს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს. უსდ უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 კრედიტი

საბაკალავრო პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, საიდანაც 35 კრედიტი გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისთვის, 38 კრედიტი საფუძვლების შემსწავლელი საგნებისთვის, 94 კრედიტი ძირითადი სპეციალობის საგნებისთვის, 39 კრედიტი სპეციალობის არჩევითი საგნებისთვის და 16 კრედიტი არჩევითი კურსებისთვის, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს აირჩიონ მათი ინტერესების შესაბამისი კურსები უნივერსიტეტის ნებისმიერი პროგრამიდან.

"ბიზნესის ადმინისტრირების" ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს სულ მცირე 240 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს ბაკალავრის საფეხურის აღმწერის დონეზე.

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია სტუდენტისთვის თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის გადაცემაზე და გენერირება / ჩამოყალიბებაზე, რაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს აქვს რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა პროგრამის სტრუქტურასთან და შინაარსთან დაკავშირებით. კერძოდ:

- საჭირო ზოგიერთი სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობების გადახედვა. კერძოდ, პროგრამის რიგი არჩევითი და სავალდებულო კურსები შეთავაზებულია სტუდენტებისთვის წინაპირობების გარეშე: ახალი პროდუქტის განვითარება, ბიზნესის მოდელირება, ბიზნეს პროცესების მოდელირება, ლიდერობა და მოტივაცია, მონაცემთა ბაზების მართვა, სტაჟირება ორგანიზაციაში. ზემოაღნიშნული საგნები ძირითადად შეთავაზებულია სტუდენტებისთვის მე-6 -8 სემესტრებში და მათთვის საჭირო წინაპირობები ისწავლება წინა სემესტრებში. მხოლოდ საჭიროა სილაბუსებში შესაბამისი წინაპირობის მითითება, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტის საგანზე დაშვება აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნის და უნარების გარეშე, რაც უზრუნველყოფს შემდგომი კურსის წარმატებით შესწავლას.

- გარდა იმისა, რომ ორგანიზაციაში სტაჟირებაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს დარგის სავალდებულო, ძირითადი საგნები, ასევე სასურველია მისი გადატანა პროგრამის

სპეციალობის არჩევითი კურსების კომპონენტიდან ძირითადი სპეციალობის საგნების კომპონენტში, იმისათვის, რომ ნებისმიერ სტუდენტს მიეცეს უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნის, ანალიტიკური და ტექნიკური უნარების მოქმედ ორგანიზაციაში გამოყენების და თეორიული ცოდნის გააქტიურების შესაძლებლობა.

პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უსდ - ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე სათანადოდ შეესაბამება განათლების მეორე საფეხურს, სამაგისტრო დონეს. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს "ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის" კვალიფიკაციასთან შესაბამისობას. აღნიშნული კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის მინიმუმ 120 კრედიტის დასრულების შემთხვევაში.

პროგრამა სავალდებულო / ძირითადი სპეციალობის კურსებისთვის ითვალისწინებს 94 კრედიტს, 8 კრედიტს არჩევითი კურსებისთვის და 18 კრედიტს სადიპლომო პროექტისთვის. სავალდებულო საგნები დაყოფილია 4 მოდულად. პირველი მოდული შედგება საბაზისო საგნებისგან, ხოლო შემდგომი მოდულები შედგება ფუნქციური და სტრატეგიული შინაარსის სასწავლო კურსებისგან. პროგრამის სტრუქტურა ორგანიზებულია ლოგიკურად სისტემატურად განვითარებული სასწავლო კომპონენტებით, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ პროგრესს.

შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები ძირითადად სწორად არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მთლიანობას და შინაარსის ლოგიკურ განვითარებას. თუმცა, საჭიროა გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობები. ექსპერტთა ჯგუფს აქვს რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა პროგრამის სტრუქტურასთან და შინაარსთან დაკავშირებით: კერძოდ:

- პროგრამის რამდენიმე არჩევითი და სავალდებულო კურსი შეთავაზებულია სტუდენტებისთვის წინაპირობების გარეშე: MARKSTRAT, მარკეტინგული კვლევა, პროექტის მართვა, ინოვაციური ბიზნესის მართვა. რეკომენდებულია სილაბუსებში შესაბამისი წინაპირობების მითითება, იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული საგანზე სტუდენტის დაშვება აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნის და უნარების გარეშე, რაც უზრუნველყოფს შემდგომი კურსის წარმატებით შესწავლას. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ისწავლება ყველა ჩამოთვლილი საგნის წინაპირობა.

- სასურველია პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის შეთავაზებული იყოს ორგანიზაციაში სტაჟირება, რათა მათ შეძლონ უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნის, ანალიტიკური და ტექნიკური უნარების გამოყენება მოქმედ ორგანიზაციაში და თეორიული ცოდნის გააქტიურება. პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს დარგის სავალდებულო, ძირითადი საგნები.

- "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსი იმავე სახელწოდებით არის შეთავაზებული "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაში (ფინანსური აღრიცხვა, კორპორაციული ფინანსები, ადამიანური რესურსების მართვა, მენეჯერული აღრიცხვა, ოპერაციების მენეჯმენტი, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია, ახალი პროდუქტის განვითარება და სხვა), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კურსის მიზნები, შედეგები, შინაარსი

და გამოყენებული ლიტერატურა ძირითადად განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, სასწავლო კურსების სახელწოდებები განსხვავებული უნდა იყოს განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე, იმისათვის, რომ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს არ შეექმნათ წინასწარი შთაბეჭდილება, რომ ორივე საფეხურზე ისწავლება ერთი და იგივე საგნები.

● "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობისთვის (კურსდამთავრებული დამოუკიდებლად ატარებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ კვლევას და შეიმუშავებს სამაგისტრო პროექტს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების და სტანდარტების დაცვით), სასურველია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს შეასწავლის ბიზნესის სხვადასხვა კვლევის მეთოდებს. აღნიშნული კურსის ფარგლებში შემენილი ცოდნა და უნარები მაგისტრანტებს დაეხმარება სადიპლომო პროექტის მომზადების პროცესში. სადიპლომო პროექტის მომზადების ხელშეწყობისთვის ასევე სასურველია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს გამოუმუშავებს სადიპლომო პროექტის ტექნიკური გაფორმებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს. შესაძლებელია აღნიშნული საკითხების ერთ სასწავლო კურსში გაერთიანებაც.

პროგრამა 3. ფინანსები, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უსდ - ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე სათანადოდ შეესაბამება განათლების მეორე საფეხურს, სამაგისტრო დონეს. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს "ფინანსების მაგისტრის" კვალიფიკაციასთან შესაბამისობას. აღნიშნული კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის მინიმუმ 120 კრედიტის დასრულების შემთხვევაში.

პროგრამა სავალდებულო / ძირითადი სპეციალობის კურსებისთვის ითვალისწინებს 80 კრედიტს, 8 კრედიტს არჩევითი კურსებისთვის და 32 კრედიტს სადიპლომო პროექტისთვის. სავალდებულო საგნები დაყოფილია 4 მოდულად. პირველი მოდული შედგება საბაზისო საგნებისგან, ხოლო შემდგომი მოდულები შედგება ფუნქციური და სტრატეგიული შინაარსის სასწავლო კურსებისგან. პროგრამის სტრუქტურა ორგანიზებულია ლოგიკურად სისტემატურად განვითარებული სასწავლო კომპონენტებით, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ პროგრესს.

შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები ძირითადად სწორად არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მთლიანობას და შინაარსის ლოგიკურ განვითარებას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს აქვს რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა პროგრამის სტრუქტურასთან და შინაარსთან დაკავშირებით. კერძოდ:

● საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამის სტუდენტებისთვის არ ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკას. ის შეტანილია პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებში და მისთვის გათვალისწინებულია 4 კრედიტი. "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს პროფესიული პრაქტიკა როგორც სავალდებულო კურსი, რათა შეესაბამებოდეს ფინანსების დარგობრივ მახასიათებელს (რომელიც განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, სწავლება - სწავლის და შეფასების მეთოდებს და სხვა არსებით

მახასიათებლებს). ფინანსების დარგობრივი მახასიათებელი ადგენს, რომ ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი უნდა იყოს მინიმუმ 5 კრედიტი.

● სტუდენტებისთვის ფინანსებთან დაკავშირებული სიღრმისეული და სისტემური კომპეტენციების განვითარების უზრუნველსაყოფად და ფინანსების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის მიზნით, ფინანსების სამაგისტრო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს დარგის რამდენიმე სავალდებულო სასწავლო კურსს, რომელიც სტუდენტს მიაწვდის სიღრმისეულ ცოდნას ფინანსური სისტემის, ფინანსური ბაზრების და ინსტიტუტების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსი "ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები" ვერ იქნება გამოყენებული სტუდენტისთვის აღნიშნული ცოდნის მისაწოდებლად. კურსის შინაარსი არ შეესაბამება სამაგისტრო დონეს და საჭიროებს განახლებას, რათა სტუდენტს მიაწოდოს შესაბამისი დონის ცოდნა და უნარები. შესაბამისად, უნდა შემუშავდეს ახალი სასწავლო კურსები, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტი სიღრმისეულად შეისწავლის საბანკო სისტემის, სადაზღვევო კომპანიების და სხვა ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრების საქმიანობას, ფინანსურ რეგულაციებს და ფინანსური რისკების მართვას.

● ფინანსების სამაგისტრო პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსი იმავე სახელწოდებით არის შეთავაზებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში (ფინანსური აღრიცხვა, კორპორაციული ფინანსები, ადამიანური რესურსების მართვა, მენეჯერული აღრიცხვა, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია, ახალი პროდუქტის განვითარება და სხვა), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კურსის მიზნები, შედეგები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა ძირითადად განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, სასწავლო კურსების სახელწოდებები განსხვავებული უნდა იყოს განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე, იმისათვის, რომ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს არ შეექმნათ წინასწარი შთაბეჭდილება, რომ ორივე საფეხურზე ისწავლება ერთი და იგივე საგნები.

● "ფინანსების" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობისთვის (კურსდამთავრებული დამოუკიდებლად ატარებს ფინანსების სფეროსთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ კვლევას და შეიმუშავებს სამაგისტრო პროექტს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების და სტანდარტების დაცვით), სასურველია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს შეასწავლის ბიზნესის სხვადასხვა კვლევის მეთოდებს. აღნიშნული კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნა და უნარები მაგისტრანტებს დაეხმარება სადიპლომო პროექტის მომზადების პროცესში. სადიპლომო პროექტის მომზადების ხელშეწყობისთვის ასევე სასურველია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს გამოუმუშავებს სადიპლომო პროექტის ტექნიკური გაფორმებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს. შესაძლებელია აღნიშნული საკითხების ერთ სასწავლო კურსში გაერთიანებაც.

● პროგრამას აკლია ინოვაციური კურსები ფინანსების ისეთ განვითარებად სფეროებში, როგორიცაა ფინტექი, ბლოკჩეინი, კრიპტოვალუტები, მწვანე ფინანსები და სხვა. სასურველია ასეთი სასწავლო კურსების დამატება თუნდაც არჩევითი საგნების კომპონენტში. აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს დაეხმარება გაეცნონ ფინანსურ ინოვაციებს და ტექნოლოგიურ ტენდენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის დოკუმენტაცია;
- უსდ - ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- თავისუფალი უნივერსიტეტის ვებგვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ ეხება

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 კრედიტი

რეკომენდაციები:

- 1.4.1. რეკომენდებულია, სილაბუსებში შესაბამისი წინაპირობების გადახედვა / განსაზღვრა, რათა თავიდან იქნას აცილებული საგანზე სტუდენტის დაშვება საგანზე აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნის და უნარების გარეშე, რაც უზრუნველყოფს შემდგომი კურსის წარმატებით შესწავლას.
- 1.4.2. რეკომენდებულია, დარგის ძირითადი საგნები განისაზღვროს ორგანიზაციაში სტაჟირებაზე დაშვების წინაპირობად.

რჩევები:

- 1.4.1 სასურველია, ორგანიზაციაში სტაჟირება გადატანილ იქნას პროგრამის დარგობრივი არჩევითი კურსების კომპონენტიდან სასწავლო კურსების ძირითად კომპონენტში, რათა ყველა სტუდენტს მიეცეს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის, ანალიტიკური და ტექნიკური უნარების მოქმედ ორგანიზაციაში გამოყენებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

რეკომენდაციები:

- 1.4.1. რეკომენდებულია სილაბუსებში შესაბამისი წინაპირობების გადახედვა / განსაზღვრა, რათა თავიდან იქნას აცილებული საგანზე სტუდენტის დაშვება საგანზე აუცილებელი ფუნდამენტური ცოდნის და უნარების გარეშე, რაც უზრუნველყოფს შემდგომი კურსის წარმატებით შესწავლას.

- 1.4.3. რეკომენდებულია დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს გააცნობს ბიზნესის კვლევის სხვადასხვა მეთოდს (სწავლის შედეგის მისაღწევად - კურსდამთავრებული დამოუკიდებლად ატარებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის სპეციფიკურ კვლევას და შეიმუშავებს სამაგისტრო პროექტს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით).

რჩევები:

- 1.4.1 სასურველია პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის ორგანიზაციაში სტაჟირების შეთავაზება, რათა მათ შეძლონ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის, ანალიტიკური და ტექნიკური უნარების გამოყენება მოქმედ ორგანიზაციაში, ეს დაეხმარებას სტუდენტს თეორიული ცოდნის აქტივაციაში. სტაჟირებაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს დარგის სავალდებულო, საკვანძო საგნები.
- 1.4.2. სასურველია, სადიპლომო პროექტის მომზადების პროცესში სტუდენტის მხარდაჭერის მიზნით პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი ან არსებულ კურსებს დაემატოს სასწავლო მოდული, რომელიც სტუდენტებს გამოუმუშავებს სადიპლომო პროექტის ტექნიკური გაფორმებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს.
- 1.4.3. სასურველია იმ სასწავლო კურსების სახელწოდებების შეცვლა, რომლებიც იდენტურია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებში გაუგებრობა, თითქოს ორივე საფეხურზე ერთი და იგივე საგნები ისწავლება.

პროგრამა 3. ფინანსები, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

რეკომენდაციები:

- 1.4.1 რეკომენდებულია იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც სამუშაო გამოცდილება არ აქვთ, სავალდებულო კომპონენტად განისაზღვროს ორგანიზაციაში სტაჟირება მინიმუმ 5 ECTS კრედიტის მოცულობით.
- 1.4.2. რეკომენდებულია ახალი სასწავლო კურსების დამატება, რომლებიც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს სიღრმისეულად შეისწავლონ საბანკო სისტემის, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების საქმიანობა, ფინანსური რეგულაციები და ფინანსური რისკების მართვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობა ფინანსების დარგობრივ მახასიათებელთან.
- 1.4.3. რეკომენდებულია დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს გააცნობს ბიზნესის კვლევის სხვადასხვა მეთოდს (სწავლის შედეგის მისაღწევად - კურსდამთავრებული დამოუკიდებლად ატარებს ფინანსების სფეროსთვის სპეციფიკურ კვლევას და შეიმუშავებს სამაგისტრო პროექტს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით).

რჩევები:

- 1.4.1. სასურველია, სადიპლომო პროექტის მომზადების პროცესში სტუდენტის მხარდაჭერის მიზნით პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი ან არსებულ კურსებს დაემატოს სასწავლო მოდული, რომელიც სტუდენტებს გამოუმუშავებს სადიპლომო პროექტის ტექნიკური გაფორმებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს.
- 1.4.2. სასურველია, არჩევითი საგნების კომპონენტებს დაემატოს ინოვაციური კურსები ფინანსების ისეთ ახალ სფეროებში, როგორიცაა ფინტექი, ბლოკჩეინი, კრიპტოვალუტები, მწვანე ფინანსები და სხვა.
- 1.4.3. სასურველია, იმ სასწავლო კურსების სახელწოდებების შეცვლა, რომლებიც იდენტურია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებში გაუგებრობა, თითქოს ორივე საფეხურზე ერთი და იგივე საგნები ისწავლება.

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სილაბუსებში მოცემულია სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემები, სწავლება - სწავლის მეთოდები, შინაარსი და სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. საგნების კრედიტებით დატვირთვა განსხვავდება საგნის საერთო დატვირთვის მიხედვით. რაციონალურია საკონტაქტო საათების და დამოუკიდებელი სწავლის განაწილება. საკონტაქტო საათები (ლექციები, სემინარი / ჯგუფური მუშაობა / პრაქტიკული სამუშაო / კვლევითი სამუშაო) საკმარისია სტუდენტთა სწავლის და სწავლის შედეგების მიღწევის ხელშესაწყობად.

საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამების სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის შინაარსი ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი მასალები ძირითადად ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ფასდება სასწავლო კურსების თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა. სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები აღწერილია თითოეულ სასწავლო კურსში.

თუმცა, ბევრი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საბოლოო შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დაბალია და მერყეობს 4 - დან 15 ქულამდე. სასურველია გაიზარდოს საბოლოო შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ისე, რომ გათვალისწინებული იყოს პროგრამის დონე და სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრული ინდიკატორები.

რამდენიმე სასწავლო კურსის შინაარსი საჭიროებს განახლებას სწავლების დონის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, რაც აღწერილია ქვემოთ შესაბამისი პროგრამების ანალიზში.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 კრედიტი

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაში საგნების კრედიტების რაოდენობა მერყეობს 1 - დან 7 კრედიტამდე, საგნის სრული სამუშაო დატვირთვის შესაბამისად. რაციონალურია საკონტაქტო საათების და დამოუკიდებელი სწავლის განაწილება. საკონტაქტო საათები (ლექციები, სემინარი / ჯგუფური მუშაობა / პრაქტიკული სამუშაო) საკმარისია სტუდენტების სწავლის და სწავლის შედეგების მიღწევის ხელშესაწყობად. პროგრამა არ მოიცავს სავალდებულო ბიზნეს ორგანიზაციებში პრაქტიკას / სტაჟირებას და საბაკალავრო ნაშრომს/პროექტს.

სილაბუსებში მოცემულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლება - სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ფასდება სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა. სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები აღწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დაბალია და მერყეობს 4 - დან 15 ქულამდე (ადამიანური რესურსების მართვა – 6 ქულა, მენეჯმენტის შეცდომები – 6 ქულა, დაბეგვრის საფუძვლები – 10 ქულა, ბიზნეს კვლევა – 11 ქულა, ბიზნეს მოდელები – 6 ქულა, კალკულუსი – 5 ქულა, ლიდერობა და მოტივაცია – 10 ქულა, მენეჯერული აღრიცხვა – 10 ქულა, მენეჯმენტის საფუძვლები – 6 ქულა, ფინანსური აღრიცხვა – 6 ქულა, წარმოების მენეჯმენტი – 4 ქულა და ა.შ.). სასურველია დასკვნითი

შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის აწევა, იმისათვის, რომ სტუდენტმა ვერ შეძლოს მარტივად გადალახოს ზღვარი. ასევე სასურველია, შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ჯამი და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ჯამი აღწევდეს სულ მცირე 41 ქულას, რაც საჭიროა სტუდენტის განმეორებით დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი მასალა ძირითადად ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამაში საგნების კრედიტების რაოდენობა მერყეობს 1 - დან 8 კრედიტამდე, საგნის სრული სამუშაო დატვირთვის შესაბამისად. რაციონალურია საკონტაქტო საათების და დამოუკიდებელი სწავლის განაწილება. საკონტაქტო საათები (ლექციები, სემინარი / ჯგუფური მუშაობა / პრაქტიკული სამუშაო) საკმარისია სტუდენტების სწავლის და სწავლის შედეგების მიღწევის ხელშესაწყობად.

სილაბუსებში მოცემულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლება - სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ფასდება სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა. სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები აღწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დაბალია და მერყეობს 4 - დან 15 ქულამდე (ადამიანური რესურსების მართვა – 6 ქულა, მენეჯმენტის შეცდომები – 6 ქულა, მარკეტინგი – 10 ქულა, საინვესტიციო პორტფელის მართვა – 4 ქულა, ფინანსური აღრიცხვა – 8 ქულა, ფინანსური ანგარიშგება – 12 ქულა, ინოვაციური ბიზნესის მართვა – 15 ქულა, პროექტის მართვა – 8 ქულა, MARKSTRAT – 6 ქულა და ა.შ.). სასურველია დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის აწევა, იმისათვის, რომ სტუდენტმა ვერ შეძლოს მარტივად გადალახოს ზღვარი. ასევე სასურველია, შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ჯამი და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ჯამი აღწევდეს სულ მცირე 41 ქულას, რაც საჭიროა სტუდენტის განმეორებით დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად.

ასევე, ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი (ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები და კორპორაციული ფინანსები) უფრო მეტად შეესაბამება საბაკალავრო დონეს და საჭიროებს განახლებას სამაგისტრო დონის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით. კორპორაციული ფინანსები ასევე შეთავაზებულია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის. კორპორაციული ფინანსების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ზოგიერთი სწავლის შედეგი, შესასწავლი თემატიკა და ძირითადი ლიტერატურა თითქმის იდენტურია და არ შეესაბამება მაგისტრატურის დონეს.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი მასალა ძირითადად ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა 3. ფინანსები, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

"ფინანსების" სამაგისტრო პროგრამაში საგნების კრედიტების რაოდენობა მერყეობს 1 - დან 7კრედიტამდე, საგნის სრული სამუშაო დატვირთვის შესაბამისად. რაციონალურია საკონტაქტო საათების და დამოუკიდებელი სწავლის განაწილება. საკონტაქტო საათები (ლექციები, სემინარი / ჯგუფური მუშაობა / პრაქტიკული სამუშაო) საკმარისია სტუდენტების სწავლის და სწავლის შედეგების მიღწევის ხელშესაწყობად.

სილაბუსებში მოცემულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლება - სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ფასდება სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა. სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები აღწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დაბალია და მერყეობს 4 - დან 15 ქულამდე (ადამიანური რესურსების მართვა – 6 ქულა, ბიზნესის შეფასება – 8 ქულა, კორპორაციული ფინანსები – 12 ქულა, საინვესტიციო პორტფელის მართვა – 4 ქულა, ფინანსური ანალიზი – 8 ქულა, სტატისტიკა – 10 ქულა, ფინანსური ანგარიშგება – 12 ქულა, ინოვაციური ბიზნესის მართვა – 15 ქულა და ა.შ.). სასურველია დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის აწევა, იმისათვის, რომ სტუდენტმა ვერ შეძლოს მარტივად გადალახოს ზღვარი. ასევე სასურველია, შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ჯამი და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ჯამი აღწევდეს სულ მცირე 41 ქულას, რაც საჭიროა სტუდენტის განმეორებით დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად.

ასევე, ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი (ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები და კორპორაციული ფინანსები) უფრო მეტად შეესაბამება საბაკალავრო დონეს და საჭიროებს განახლებას სამაგისტრო დონის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით. კორპორაციული ფინანსები ასევე შეთავაზებულია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში კორპორაციული ფინანსების ზოგიერთი სწავლის შედეგი, შესასწავლი თემატიკა და ძირითადი ლიტერატურა თითქმის იდენტურია და არ შეესაბამება მაგისტრატურის დონეს.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი მასალა ძირითადად ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების დოკუმენტაცია და სილაბუსები;
- გასაუბრებები ვიზიტის დროს.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- 1.5.1 სასურველია, საბოლოო შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის აწევა, რათა ის შეესაბამებოდეს პროგრამის დონესა და სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრულ სტანდარტებს.
- 1.5.2 სასურველია, შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრისა და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ჯამი იყოს მინიმუმ 41 ქულა, რაც სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვებისთვისაა საჭირო.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, 120 კრედიტი

რეკომენდაციები:

1.5.1. რეკომენდებულია, "ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების" და "კორპორაციული ფინანსების" კურსების შინაარსის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს სამაგისტრო დონისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების მიწოდებას.

პროგრამა 3. ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, 120 კრედიტი

რეკომენდაციები:

- 1.5.1. რეკომენდებულია, "ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების" და "კორპორაციული ფინანსების" კურსების შინაარსის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს სამაგისტრო დონისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების მიწოდებას.

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐

პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

თავისუფალი უნივერსიტეტის კლასტერში დაჯგუფებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს უმაღლესი

განათლების შესახებ საქართველოს კანონის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19 / ნ ბრძანების, 2011 წლის 29 დეკემბრის №224 / ნ ბრძანებისა და 2010 წლის 4 თებერვლის №10 / ნ ბრძანების შესაბამისად. შესაბამისად, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მექანიზმები, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობას განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის აუდიტორიების რაოდენობა და მათი ტევადობა, აკადემიური პერსონალის რაოდენობა და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების შესაბამისი რაოდენობის დასადგენად, უნივერსიტეტი ახორციელებს დამატებით კვლევას და ანალიზს კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნის არსებობის დადგენის, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის განსაზღვრის მიზნით და სხვა.

ზემოაღწერილი მეთოდოლოგია უზრუნველყოფს თავისუფალ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებზე რელევანტური რაოდენობის სტუდენტების განსაზღვრას, რომელთა მომსახურებაც შესაძლებელია სათანადო დონეზე.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 კრედიტი

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შემდეგია: "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელმაც საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19 / ნ ბრძანების შესაბამისად, მოიპოვა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება.

გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224 / ნ ბრძანებით დადგენილი წესით და ვადებით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10 / ნ ბრძანების შესაბამისად.

გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224 / ნ ბრძანებით დადგენილი წესით და ვადებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილზე ვიზიტისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც ასახავს სტუდენტების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებულ საგნებს: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული), მათემატიკა ან ისტორია.

ვინაიდან ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ინტენსიურად იყენებს ინგლისურენოვან სახელმძღვანელოებს, მათ შორის პირველი სასწავლო წლიდან და პროგრამა სთავაზობს ინგლისურ ენის B2 დონეს, რეკომენდებულია ან გადაიხედოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის, როგორც ერთადერთი უცხო ენის განსაზღვრა ცოდნის უფრო მაღალი ზღვრით, ან პროგრამაში შეთავაზებული იყოს ინგლისური ენა უფრო დაბალი დონიდან, იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესება, სანამ დაიწყებენ კურსებს, სადაც ინგლისურენოვანი წიგნები წარმოდგენილია სავალდებულო სახელმძღვანელოებად.

ინფორმაცია "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდზე: https://freeuni.edu.ge/ge/educational-programs/bachelor/business-school/?program=program

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირების მიღებას, რომლებიც აღჭურვილნი არიან პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ცოდნით და უნარებით. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ხარისხის მფლობელს, რომელმაც საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 / ნ ბრძანების და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად, მოიპოვა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება.

გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224 / ნ ბრძანებით დადგენილი წესით და ვადებით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10 / ნ ბრძანების შესაბამისად.

თავისუფალ უნივერსიტეტს დადგენილი აქვს მიღების შიდა მოთხოვნები:

- საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით;
- უნივერსიტეტის შიდა გამოცდის წარმატებით ჩაბარება (გასაუბრების ფორმით);
- შიდა გამოცდა ტარდება გასაუბრების ფორმით, რომელიც აფასებს:
- კანდიდატის კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარს რაოდენობრივი და ხარისხობრივი სიტუაციების ანალიზის საფუძველზე.
- პიროვნულ უნარებს, რომელიც განსაზღვრავს კანდიდატის მოტივაციას, ლიდერობას და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს.

ადგილზე ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრებების დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ კანდიდატებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნის B2 დონე, თუმცა მათ

აღნიშნულის დადასტურება არ მოეთხოვებათ არც შესაბამისი დოკუმენტის წარდგენით და არც შიდა გამოცდით. შესაბამისად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებული იქნებიან მხოლოდ ინგლისური ენის საკმარისი ცოდნის მქონე კანდიდატები, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოითხოვოს ენის კომპეტენციის ოფიციალური დადასტურება.

ინფორმაცია "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდზე: https://freeuni.edu.ge/ge/educational-programs/master/business-administration/?program=program.

პროგრამა 3. ფინანსები, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირების მიღებას, რომლებიც აღჭურვილნი არიან პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ცოდნით და უნარებით. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ხარისხის მფლობელს, რომელმაც საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 / ნ ბრძანების და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად, მოიპოვა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება.

გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224 / ნ ბრძანებით დადგენილი წესით და ვადებით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10 / ნ ბრძანების შესაბამისად.

თავისუფალ უნივერსიტეტს დადგენილი აქვს მიღების შიდა მოთხოვნები:

- საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით;
- უნივერსიტეტის შიდა გამოცდის წარმატებით ჩაბარება (გასაუბრების ფორმით);
- შიდა გამოცდა ტარდება გასაუბრების ფორმით, რომელიც აფასებს:
- კანდიდატის კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარს რაოდენობრივი და ხარისხობრივი სიტუაციების ანალიზის საფუძველზე.
- პიროვნულ უნარებს, რომელიც განსაზღვრავს კანდიდატის მოტივაციას, ლიდერობას და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს.

ადგილზე ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრებების დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ კანდიდატებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნის B2 დონე, თუმცა მათ აღნიშნულის დადასტურება არ მოეთხოვებათ არც შესაბამისი დოკუმენტის წარდგენით და არც შიდა გამოცდით. შესაბამისად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებული იქნებიან მხოლოდ ინგლისური ენის საკმარისი ცოდნის მქონე კანდიდატები, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოითხოვოს ენის კომპეტენციის ოფიციალური დადასტურება.

ინფორმაცია "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდზე: ინფორმაცია "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდზე: https://freeuni.edu.ge/ge/educational-programs/master/business-administration/?program=program.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები;
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი: https://freeuni.edu.ge/ge/ და ტექსტში მითითებული ლინკები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 კრედიტი

რეკომენდაციები:

- 2.1.1. რეკომენდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის, როგორც ერთადერთი უცხო ენის, მოთხოვნის გადახედვა ენის ცოდნის დონისთვის უფრო მაღალი ზღვრის დაწესებით, ან პროგრამაში ინგლისური ენის დაბალი დონიდან შეთავაზება, რათა სტუდენტებმა შეძლონ ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესება პროგრამის ფარგლებში, სანამ დაიწყებენ იმ კურსებს, სადაც ინგლისურენოვანი წიგნები სავალდებულო სახელმძღვანელოებადაა განსაზღვრული.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

რეკომენდაციები:

2.1.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტეტმა უზრუნველყოს სამაგისტრო პროგრამაზე მიღებული იქნებიან მხოლოდ ინგლისური ენის საკმარისი კომპეტენციის მქონე კანდიდატები. ამისათვის, უნივერსიტეტმა უნდა მოითხოვოს ენის კომპეტენციის ოფიციალური დადასტურება, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც შიდა გამოცდის მეშვეობით, ასევე შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენით.

პროგრამა 3. ფინანსები, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

რეკომენდაციები:

- 2.1.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტეტმა უზრუნველყოს სამაგისტრო პროგრამაზე მიღებული იქნებიან მხოლოდ ინგლისური ენის საკმარისი კომპეტენციის მქონე კანდიდატები.

ამისათვის, უნივერსიტეტმა უნდა მოითხოვოს ენის კომპეტენციის ოფიციალური დადასტურება, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც შიდა გამოცდის მეშვეობით, ასევე შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენით.

შეფასება

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები შემუშავებულია იმგვარად, რომ ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 კრედიტი

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული უნარების განვითარება უზრუნველყოფილია უმეტეს სასწავლო კურსებში შესაბამისი სწავლება - სწავლის მეთოდების, აქტივობების და დავალებების (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, ანალიზი და სხვ.) გამოყენებით, ასევე მთლიანობაში პროგრამის სავალდებულო ინდივიდუალური კომპონენტით. ისეთი კურსები, როგორიცაა: ფინანსური აღრიცხვა, მენეჯერული აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი, დაბეგვრის საფუძვლები,

კორპორატიული ფინანსები, ბიზნესის შეფასების მენეჯმენტი და სხვ., ძირითადად ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რაც კურსდამთავრებულებს მოამზადებს რეალური სამუშაო გარემოსთვის.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს განცალკევებულ არჩევით პრაქტიკულ კომპონენტს სახელწოდებით "სტაჟირება ორგანიზაციაში", რომელსაც ენიჭება 5 კრედიტი. სტაჟირება ორგანიზაციაში ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებაზე და შესაბამისად, შეიძლება ხელი შეუწყოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

ორგანიზაციაში სტაჟირება შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს პარტნიორი ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებთანაც თავისუფალ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები. პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში განსაზღვრულია პარტნიორობის და თანამშრომლობის საგანი, ასევე მისაღები სტაჟიორების მაქსიმალური რაოდენობა. ორგანიზაციებში სტუდენტებს მენტორობას უწევენ დარგის კვალიფიციური პრაქტიკოსები. ისინი სტუდენტების შესრულებას აფასებენ შემდეგი კრიტერიუმებით: პასუხისმგებლობის გრძნობა, დავალებების შესრულების ხარისხი, მიცემული დავალებებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, მიცემული დავალებებისადმი ენთუზიასტური დამოკიდებულება.

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტების პრაქტიკული კვლევითი უნარების განვითარება მხარდაჭერილია პროგრამაში შეთავაზებული რამდენიმე სპეციფიკური აკადემიური კურსის მეშვეობით, როგორიცაა მონაცემთა ანალიზი, ბიზნეს კვლევა და სხვ. ზემოთ აღნიშნული სასწავლო კურსებში გამოყენებულია სწავლება - სწავლის და შეფასების მეთოდები და ისეთი აქტივობები, როგორიცაა მონაცემთა ანალიზი, წყაროებზე მუშაობა, კვლევის გამოყენების მაგალითების განხილვა, ბიზნეს კვლევის აქტივობები, ინდივიდუალური და ჯგუფური კვლევების ჩატარება, კვლევითი პროექტების მომზადება და სხვ., რათა განავითაროს სტუდენტების პრაქტიკული -კვლევითი უნარები.

რაც შეეხება სტუდენტების ტრანსფერული უნარების განვითარებას, აღნიშნული ასევე უზრუნველყოფილია "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლება - სწავლის მეთოდების, აქტივობების და დავალებების გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, დისკუსია და დებატები, თანამშრომლობითი სწავლება და სხვ.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

"ბიზნესის და ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული უნარების განვითარება უზრუნველყოფილია უმეტეს სასწავლო კურსებში შესაბამისი სწავლება - სწავლის მეთოდების, აქტივობების და დავალებების (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, ანალიზი და სხვ.) გამოყენებით, ასევე მთლიანობაში პროგრამის სავალდებულო ინდივიდუალური კომპონენტით. ისეთი კურსები, როგორიცაა: მოდელირება Excel -ით, კორპორაციული ფინანსები, ბიზნესის შეფასება, დაბეგვრა, ფინანსური აღრიცხვა, მენეჯერული აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგება, პროექტის მართვა და სხვ. ძირითადად ემსახურება სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც კურსდამთავრებულებს მოამზადებს რეალური სამუშაო გარემოსთვის.

"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტების პრაქტიკული კვლევითი უნარების განვითარება უზრუნველყოფილია რამდენიმე სპეციფიკური სასწავლო კურსის მეშვეობით, როგორიცაა სტატისტიკა, მარკეტინგული კვლევა და სხვა. სტუდენტების პრაქტიკული კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსებში გამოყენებულია სწავლება - სწავლის და შეფასების მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა მონაცემთა ანალიზი, წყაროებზე მუშაობა, წერითი დავალებების მეთოდები და სხვა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს განცალკევებულ სავალდებულო კომპონენტს - სადიპლომო პროექტს, რომელსაც ენიჭება 18 კრედიტი. სადიპლომო პროექტი ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკული კვლევითი უნარების განვითარებაზე და შესაბამისად, ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში და კვლევით საქმიანობაში გამოყენებას.

სადიპლომო პროექტი სრულდება სწავლების მეოთხე სემესტრში. პროექტისთვის სტუდენტის მაქსიმალური მზაობა უზრუნველყოფილია იმით, რომ აღნიშნულ კომპონენტზე დაშვებისთვის სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები. სადიპლომო პროექტის სავალდებულო კომპონენტი ემსახურება სტუდენტების წერითი და ანალიტიკური უნარების გაძლიერებას, ხელმძღვანელის ზედამხედველობით სტუდენტების დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების უნარის უზრუნველყოფას და გაძლიერებას. თუმცა, სტუდენტების კვლევითი უნარების გასაძლიერებლად და სადიპლომო პროექტის სათანადოდ განსახორციელებლად მათი მზაობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყოს კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის დამატება (დეტალები იხილეთ კომპონენტში 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი).

რაც შეეხება სტუდენტების ტრანსფერული უნარების განვითარებას, აღნიშნული ანალოგიურად უზრუნველყოფილია "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლება - სწავლის მეთოდების, აქტივობების და დავალებების გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, დისკუსია და დებატები, თანამშრომლობითი სწავლება და სხვა.

პროგრამა 3. ფინანსები, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული უნარების განვითარება უზრუნველყოფილია უმეტეს სასწავლო კურსებში შესაბამისი სწავლება - სწავლის მეთოდების, აქტივობების და დავალებების (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, ანალიზი და სხვ.) გამოყენებით, ასევე მთლიანობაში პროგრამის სავალდებულო ინდივიდუალური კომპონენტით. ისეთი კურსები, როგორიცაა: მოდელირება Excel - ით, ფინანსური აღრიცხვა, მენეჯერული აღრიცხვა, კორპორატიული ფინანსები, დაბეგვრა, ფინანსური ანგარიშგება, ბიზნესის შეფასება და სხვ. ძირითადად ემსახურება სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც კურსდამთავრებულებს მოამზადებს რეალური სამუშაო გარემოსთვის.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს განცალკევებულ არჩევით პრაქტიკულ კომპონენტს - პრაქტიკა ორგანიზაციაში, რომელსაც ენიჭება 4 კრედიტი. პრაქტიკა ორგანიზაციაში ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებაზე და შესაბამისად, ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. თუმცა,

ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის თანახმად (დამტკიცებულია 2023 წლის 15 სექტემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1158226 ბრძანებით), ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მოიცავდეს სავალდებულო პრაქტიკულ კომპონენტს მინიმუმ 5 კრედიტის მოცულობით. ზემოაღნიშნული დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას ურჩევს გაზარდოს ორგანიზაციაში პრაქტიკისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა მინიმუმ 5 კრედიტამდე, რაც თავის მხრივ გაზრდის ორგანიზაციებში სტუდენტების დატვირთვას და უკეთ შეუწყობს ხელს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში პრაქტიკა გახდეს სავალდებულო კომპონენტი იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ სამუშაო გამოცდილება (დეტალები იხილეთ კომპონენტში 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი).

ორგანიზაციაში პრაქტიკა უზრუნველყოფილი იქნება პარტნიორი ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებთანაც თავისუფალ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები. პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში განსაზღვრულია პარტნიორობის და თანამშრომლობის საგანი, ასევე მისაღები სტაჟიორების მაქსიმალური რაოდენობა. ორგანიზაციებში სტუდენტებს მენტორობას უწევენ დარგის კვალიფიციური პრაქტიკოსები. ორგანიზაციებში სტუდენტების საქმიანობა ფასდება პრაქტიკის ანგარიშების საფუძველზე, რომლებშიც აღწერილია ორგანიზაციებში შესრულებული დავალებები.

"ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტების პრაქტიკული კვლევითი უნარების განვითარება უზრუნველყოფილია რამდენიმე სპეციფიკური სასწავლო კურსის მეშვეობით, როგორიცაა: სტატისტიკა, მარკეტინგული კვლევა და სხვა. ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსებში გამოყენებულია სწავლების - სწავლის და შეფასების მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა: მონაცემთა ანალიზი, წყაროებზე მუშაობა, წერითი დავალებების მეთოდები და სხვა, სტუდენტების პრაქტიკული კვლევითი უნარების განვითარების მიზნით.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სავალდებულო კომპონენტს - სადიპლომო პროექტს, რომელსაც ენიჭება 32 კრედიტი. სადიპლომო პროექტი ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკული კვლევითი უნარების განვითარებაზე და შესაბამისად, ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში და კვლევით საქმიანობაში გამოყენებას.

სადიპლომო პროექტი სრულდება სწავლების მეოთხე სემესტრში. პროექტისთვის სტუდენტის მაქსიმალური მზაობა უზრუნველყოფილია იმით, რომ აღნიშნულ კომპონენტზე დაშვებისთვის სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები. სადიპლომო პროექტის სავალდებულო კომპონენტი ემსახურება სტუდენტების წერითი და ანალიტიკური უნარების გაძლიერებას, ხელმძღვანელის ზედამხედველობით სტუდენტების დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების უნარის უზრუნველყოფას და გაძლიერებას. თუმცა, სტუდენტების კვლევითი უნარების გაძლიერების და სადიპლომო პროექტის სათანადოდ განსახორციელებლად მათი მზაობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყოს კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის დამატება (დეტალები იხილეთ კომპონენტში 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი).

რაც შეეხება სტუდენტების ტრანსფერული უნარების განვითარებას, აღნიშნული ანალოგიურად უზრუნველყოფილია "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლება - სწავლის მეთოდების, აქტივობების და დავალებების გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, დისკუსია და დებატები, თანამშრომლობითი სწავლება და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები;
- კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ტექსტში მითითებული ლინკები;
- თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	x	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილია სწავლება - სწავლის მეთოდების ჩამონათვალი, რომლებიც გამოიყენება პროგრამების სასწავლო კურსებში.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში სწავლება - სწავლის მეთოდები გამოიყენება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების კონკრეტული თემები, მიზნები და მიღწევადი სწავლის შედეგები.

სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება - სწავლის მეთოდები ხელს უწყობენ და უზრუნველყოფენ კურსით აღწერილი სპეციფიკური კომპეტენციების, ცოდნის და უნარების განვითარებას. უფრო კონკრეტულად, სასწავლო კურსები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, იყენებენ ისეთ სწავლება - სწავლის მეთოდებს, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული სამუშაო და დავალებები, შემთხვევების შესწავლა და ანალიზი, გონებრივი იერიში და სხვ. სტუდენტების კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე პასუხისმგებელი სასწავლო კურსები იყენებენ ისეთ სწავლება - სწავლის მეთოდებს, როგორიცაა კოოპერაციული სწავლება, დისკუსიები და დებატები, ჯგუფური მუშაობა და სხვ. სტუდენტების ანალიტიკური უნარების განვითარებაზე პასუხისმგებელი სასწავლო კურსები იყენებენ ისეთ სწავლება - სწავლის მეთოდებს, როგორიცაა გონებრივი იერიში, დებატები, შემთხვევების შესწავლა და ანალიზი, ინდუქცია, დედუქცია და სინთეზი და სხვ. სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებაზე პასუხისმგებელი სასწავლო კურსები იყენებენ ისეთ სწავლება - სწავლის მეთოდებს, როგორიცაა წყაროებზე / წიგნზე მუშაობა, წერითი დავალების მეთოდები, ანალიზი, ინდუქცია, დედუქცია, სინთეზი და სხვ.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებებისას კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ისევე როგორც სტუდენტებმა, დაადასტურეს ლექტორების საკონსულტაციო საათების ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების და მოთხოვნების მხარდაჭერის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მიზნით.

ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებული სწავლება - სწავლის მეთოდების შესახებ თანაბრად ეხება თავისუფალი უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამას, რომლებიც დაჯგუფებული და წარმოდგენილია კლასტერში, შესაბამისად ინდივიდუალურად არ არის წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;

- კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები;
- კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	**x**	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ფარგლებში სტუდენტების მოსწრების შეფასება ეფექტურად აკმაყოფილებს 2.4 კომპონენტის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს გამჭვირვალე, სანდო და სამართლებრივად შესაბამის პროცესს. შეფასებები ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სტანდარტიზებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რომლებიც შეესაბამება თითოეული კურსის სწავლის შედეგებს და თითოეული აკადემიური სფეროს უნიკალურ მოთხოვნებს. შეფასების კრიტერიუმების დაზუსტების მიზნით გამოიყენება რუბრიკები, რომლებიც სტუდენტებისთის და

ლექტორებისთვის წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასების თანმიმდევრულ ჩარჩოს. აღნიშნული რუბრიკები შეტანილია კურსის სილაბუსებში, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების მართვის სისტემის მეშვეობით და გაწერილია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დებულებებში, რომლებიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

თითოეული აკადემიური კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები შემუშავებულია კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით და შეესაბამება სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ აღნიშნული შედეგების მიღწევის ყოვლისმომცველ შეფასებას. პროგრამებში გამოიყენება შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა დისკუსიებში მონაწილეობა, დავალებები, ქვიზები, პროექტები და საბოლოო გამოცდები, რომლებიც გულდასმით არის შემუშავებული კურსის კონკრეტულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობით. აღნიშული მეთოდები ყოვლისმომცველად აფასებს სტუდენტების ანალიტიკურ უნარებს, ცოდნის გამოყენებას და კრიტიკულ აზროვნებას. მაგალითად, არაპრაქტიკულ კურსებში ხშირად გამოიყენება გამოცდები დახურული ან ღია წიგნით, რომლებიც ხელს უწყობს კურსის მასალასთან უფრო ღრმა ჩართულობას, ამასთან ღია წიგნის ფორმატი მექანიკური დამახსოვრების ნაცვლად ხელს უწყობს კრიტიკულ ანალიზს. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება დაწესებულების მისიას უზრუნველყოს კრიტიკული აზროვნების განვითარება და საგნების ჰოლისტური გაგება.

პროგრამების ფარგლებში არსებული შეფასება სრულად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, წინასწარ არის მიწოდებული ყველა კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა იმ სტანდარტების შესახებ, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ, რაც ქმნის სამართლიან და მხარდამჭერ აკადემიურ გარემოს. სამაგისტრო პროგრამებში ნაშრომის აკადემიური სტილის მოთხოვნები წინასწარ მკაფიოდ ეცნობება სტუდენტებს და აშკარად არის გათვალისწინებული შეფასების პროცესში. კონკრეტულად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასების პროცესი ხორციელდება მკაცრი და სამართლიანი პროცედურების დაცვით. სამაგისტრო პროგრამები უზრუნველყოფს, რომ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ კოლეგიალური განხილვის სისტემის მეშვეობით, რაც სტუდენტებს უზრუნველყოფს მათი ნაშრომის მიუკერძოებელი და ყოვლისმომცველი შეფასებით.

შეფასების ჩარჩო ასევე მოიცავს მყარ ზომებს აკადემიური არაკეთილსინდისიერების თავიდან ასაცილებლად, მათ შორის საგამოცდო ცენტრებს უსაფრთხო პროტოკოლებით, რომლებიც შემუშავებულია იმისათვის, რომ მინუმუმამდე შეამციროს გადაწერის შესაძლებლობები. გამოცდების სანდოობის შენარჩუნების მიზნით, ღნიშნული ცენტრები იყენებენ ისეთ ზომებს, როგორიცაა ინტერნეტის შეზღუდვა და მობილური სიგნალის ბლოკირება. აკადემიური არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში მოქმედებს მკაცრი პოლიტიკა, რომლის თანახმადაც სტუდენტები კურსში ავტომატურად იღებენ "F"-ს.

გამჭვირვალე შეფასების პროცესის შემდგომი მხარდაჭერისთვის სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათი მოსწრების შესახებ, რაც მათ ეხმარება ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენაში. შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცესი მკაფიოდ არის განმარტებული სტუდენტებისთვის, გააჩნია კარგად განსაზღვრული პროცედურები, რაც საშუალებას აძლევს მათ ობიექტური და გამჭვირვალე სისტემის მეშვეობით გაასაჩივრონ შედეგები, როგორც ეს გაწერილია პროგრამის დებულებებში. სწავლების პროცესში ტენდენციების და გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირების მიზნით სისტემატიურად ხორციელდება შეფასების შედეგების ანალიზი.

აღნიშნული მონაცემები გამოიყენება კურსის დიზაინის, სწავლების მეთოდების და შეფასების მიდგომების დასახვეწად, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.

შეფასების სისტემა ზოგადად ძლიერია, თუმცა გარკვეული სფეროები საჭიროებს გაუმჯობესებას. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას დანერგილი აქვს აკადემიური კეთილსინდისიერების წინასწარი ზომები, კრიტიკულად მნიშვნელოვანია პლაგიატის აღმოჩენის ყოვლისმომცველი ინსტრუმენტის დანერგვა. ასეთი ინსტრუმენტი აუცილებელია არა მხოლოდ პლაგიატის შემთხვევების გამოსავლენად, არამედ აკადემიური პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების კულტურის ხელშეწყობისთვის. პლაგიატის საწინააღმდეგო ინსტრუმენტი პედაგოგებს საშუალებას მისცემს ეფექტურად გააკონტროლონ სტუდენტების ნაშრომების ორიგინალურობა, რაც შესაძლებელს გახდის განხორციელდეს ადრეული ჩარევა და აკადემიური წერის პრაქტიკასთან დაკავშირებით კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება. აღნიშნული, თავის მხრივ, დაეხმარება სტუდენტებს ეთიკური კვლევის და წერის პრინციპების გაგებასა და პატივისცემაში, რაც საბოლოოდ სწავლების ყველა საფეხურზე ხელს შეუწყობს უფრო სანდო და სამართლიანი შეფასების პროცესის ჩამოყალიბებას.

შეჯამების სახით, მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები მეტწილად აკმაყოფილებენ სტუდენტების შეფასების 2.4 კომპონენტის მოთხოვნებს, პლაგიატის აღმოჩენის ფორმალიზებული სისტემის დანერგვა კიდევ უფრო გააძლიერებს შეფასების პროცესების კეთილსინდისიერებას, გამჭვირვალობას და საერთო ხარისხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები;
- საბაკალავრო პროგრამების დებულება;
- სამაგისტრო პროგრამების დებულება;
- სტუდენტთა ეთიკის კოდექსი;
- ეთიკის საბჭოს წესდება;
- გამოცდების ადმინისტრირების და შეფასების წესი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- 2.4.1 რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა დანერგოს პლაგიატის გამოვლენის ყოვლისმომცველი სისტემა აკადემიური კეთილსინდისიერების გასაძლიერებლად და სტუდენტთა ნაშრომების შეფასების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 2.4. სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან

საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები დემონსტრირებენ სტუდენტზე ორიენტირებულ ძლიერ მიდგომას, რომელიც ხაზს უსვამს ინდივიდუალურ განვითარებას, აკადემიურ წინსვლას და კარიერულ მზაობას. თვითშეფასების ანგარიშზე, თანდართულ დოკუმენტაციაზე და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულ გასაუბრებებზე დაყრდნობით, ცხადია, რომ პროგრამების ფარგლებში ხორციელდება სტუდენტთა მხარდაჭერის სხვადასხვა ინიციატივები. თუმცა, შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გარკვეული სფეროები საჭიროებენ ყურადღებას.

უნივერსიტეტი სთავაზობს ყოვლისმომცველ საკონსულტაციო სერვისებს, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება აკადემიურ და კარიერულ დაგეგმვაში, რაც ხორციელდება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის, მათ შორის სკოლის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელების, სკოლის კოორდინატორებისა და სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურის მეშვეობით. თვითშეფასების ანგარიში და გასაუბრებები ხაზს უსვამს, რომ აკადემიური პერსონალისგან სტუდენტები იღებენ პერსონალიზებულ ხელმძღვანელობას, რაც გადამწყვეტია აკადემიური გამოწვევების და პროფესიული გადასვლების დასაძლევად. განსაკუთრებით აღსანიშნავია კურსდამთავრებულთა და დამამთავრებელი კურსის სტუდენტების ქსელების ინტეგრაცია, რომლებიც ახალი სტუდენტებისთვის უზრუნველყოფენ მენტორობას და მხარდაჭერას. კურსდამთავრებულები მოქმედ სტუდენტებს ხშირად უზიარებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას და სთავაზობენ არაფორმალურ კარიერულ კონსულტაციებს, რაც მათ ეხმარება შეუსაბამონ აკადემიური მისწრაფებები შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტების და კურსდამთავრებულების უკუკავშირმა გამოავლინა საკონსულტაციო სერვისებით კმაყოფილების მაღალი დონე. მათ აღნიშნეს, რომ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით რეგულარულად იღებენ განახლებულ ინფორმაციას სხვადასხვა შესაძლებლობის შესახებ. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალი ურთიერთხელმისაწვდომობის საფუძველზე უზრუნველყოფს მოქნილ საკონსულტაციო საათებს, რაც განსაკუთრებით მოსახერეხებელია სტუდენტებისთვის. ბევრმა გამოხატა მადლიერება აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობის და რეაგირების შესახებ, რომლებიც მათ მოუწოდებენ, საჭიროების შემთხვევაში მიმართონ აკადემიურ და კარიერულ საკითხებთან დაკავშირებით.

პროგრამები ასევე სტუდენტებს სთავაზობენ კარიერული განვითარების სხვადასხვა აქტივობას, როგორიცაა დასაქმების ფორუმები, ნეთვორქინგის ღონისძიებები და სტაჟირებები, რაც ხელს უწყობს სტუდენტების შრომის ბაზარზე გადასვლას. აღნიშნულ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ დამსაქმებლები, ზოგიერთი კურსდამთავრებული საქმდება აღნიშნული კავშირების მეშვეობით, რაც ხაზს უსვამს პროგრამის ვალდებულებას პრაქტიკული ცოდნის გამოყენების მიმართ. აღნიშნული

დასტურდება სხვადასხვა წარმატებულ კომპანიაში პროგრამების კურსდამთავრებულების მიერ დაკავებული მნიშვნელოვანი პოზიციებით და მათი დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით.

მიუხედავად იმისა, რომ მხარდაჭერის სერვისები ზოგადად ეფექტურია, არსებობს კონკრეტული სფეროები, რომლებიც საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას სტანდარტის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით. კერძოდ, ამჟამად შეზღუდულია საერთაშორისო გაცვლის შესაძლებლობები, თუმცა ზოგიერთმა სტუდენტმა გამოხატა სურვილი მეტი გაცვლითი შესაძლებლობების არსებობის შესახებ. საერთაშორისო გაცვლების გაძლიერება გაამდიდრებს სტუდენტების გლობალურ პერსპექტივებს და ხელს შეუწყობს კულტურულ ჩართულობას. ფართო საერთაშორისო გამოცდილების მიღების თვალსაზრისით სტუდენტების ინტერესის გათვალისწინებით, დაწესებულებამ გაცვლითი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით უნდა განიხილოს უცხოურ უნივერსიტეტებთან და პროგრამებთან პარტნიორობის გაფართოება. აღნიშნული არა მხოლოდ გაამრავალფეროვნებს სტუდენტთა გამოცდილებას, არამედ ხელს შეუწყობს გლობალურ პერსპექტივას და კულტურათაშორის ჩართულობას. საერთაშორისო დაწესებულებებთან თანამშრომლობა შესაძლებელს გახდის ახალი გაცვლითი ხელშეკრულებების, საზაფხულო პროგრამების ან ერთობლივი პროექტების განხორციელებას, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის აკადემიურ მიზნებს.

გარდა ამისა, ამჟამად სტუდენტებს არ აქვთ წვდომა აკადემიური წერის და კვლევის მეთოდების მოდულზე, რაც მათთვის ართულებს კვლევითი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვას. შედეგად, ზოგიერთი სტუდენტი ხელმძღვანელობს არაფორმალური ან გარე წყაროებით, რაც მიუთითებს სტრუქტურირებული აკადემიური წერის მოდულის გადაუდებელ საჭიროებაზე. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაგისტრატურისთვის, სადაც შეინიშნება აკადემიური წერის და კვლევითი საქმიანობის მიმართ მზარდი ინტერესი. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსგავსად მოტივირებული სტუდენტები შესაძლოა არსებობდნენ ბაკალავრიატშიც. ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გასაუბრებებისას, ზოგიერთმა გამოხატა ენთუზიაზმი სამეცნიერო საქმიანობის მიმართ და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების სურვილი, რაც წარმოადგენს აღნიშნული ინტერესის მაჩვენებელს.

შეჯამების სახით, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნით, ეფექტური კონსულტაციებით და კარიერული მხარდაჭერის სერვისებით მეტწილად აკმაყოფილებენ 3.1 კომპონენტის ძირითად მოთხოვნებს. თუმცა, საერთაშორისო გაცვლითი შესაძლებლობების გაფართოება და აკადემიური წერის მოდულის დანერგვა უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ მხარდაჭერას და უწყვეტ გაუმჯობესებას, რაც შეესაბამება სტუდენტების საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და სამოქმედო გეგმა;
- მარეგულირებელი დოკუმენტები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- 3.1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სპეციალური აკადემიური წერის მოდული, რომელიც ხელს შეუქწყობს სტუდენტების კვლევითი უნარების გაძლიერებას და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვის უზრუნველსაყოფას.
- 3.1.2. სასურველია, სტუდენტების გლობალური კომპეტენციებისა და აკადემიური ქსელების გაძლიერების მიზნით, გაფართოვდეს მათი საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობის შესაძლებლობები, როგორიცაა გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო კონფერენციები.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შფასება

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2. ბინზესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, 120 კრედიტი	x	☐	☐	☐
პროგრამა 3. ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, 120 კრედიტი	x	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა

უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, განსაკუთრებით სამაგისტრო სტუდენტების ხელმძღვანელობის კუთხით, აჩვენებს როგორც ძლიერ მხარეებს, ისე გაუმჯობესების შესაძლებლობებს დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

ძირითადი მოთხოვნაა, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელები სტუდენტებს სათანადოდ უჭერენ მხარს, რითაც უზრუნველყოფენ წარმატებას კვლევით კომპონენტში. თვითშეფასების ანგარიშისა (SER) და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების მიხედვით დადგინდა, რომ ხელმძღვანელები რეგულარულად მართავენ კონსულტაციებს თავიანთ სტუდენტებთან და მათთან განიხილავენ კვლევითი პროცესის მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია და აკადემიური წერა. მსგავსი თანმიმდევრული ინტერაქცია ასახავს სტანდარტებში ასახული მოლოდინების მხარდაჭერისადმი ერთგულებას.

მნიშვნელოვანი ფაქტორია სტუდენტების თანაფარდობა ხელმძღვანელებთან. მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში თითოეულ ხელმძღვანელზე საშუალოდ 9 აქტიური სტუდენტი მოდის, ხოლო ფინანსების სამაგისტრო პროგრამაში ეს თანაფარდობა უმჯობესდება და თითოეულ ხელმძღვანელზე 4 სტუდენტს შეადგენს. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ დაწესებულებას დანერგილი აქვს ხელმძღვანელობის ეფექტური პრაქტიკა. თუმცა, თანაფარდობების მართვის შიდა რეგულაციის არარსებობა გაუმჯობესების შესაძლებლობას ქმნის, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა. სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის ზღვრის დაწესება თითოეულ ხელმძღვანელზე ხელს შეუწყობდა ხარისხიანი სამეცნიერო ხელმძღვანელობის შენარჩუნებას და უზრუნველყოფდა მეტად პერსონალიზებულ უკუკავშირს.

გარდა ამისა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (უსდ) გააჩნია მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე მათი დანიშვნისა და ნებისმიერი ცვლილების პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტებს ხელმძღვანელობის პროცესში შემოაქვთ გამჭვირვალობა და სტრუქტურა, რაც დადებითად აისახება შესაბამისობის უზრუნველყოფაზე.

ხელმძღვანელობის ხარისხის შესანარჩუნებლად უსდ- მ დანერგა მექანიზმები ხელმძღვანელების მუშაობის შესაფასებლად, მათ შორის ანონიმური სტუდენტური შეფასებები, რომლებიც ყოველ სემესტრში გროვდება. ეს უკუკავშირის პროცესი ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების გაზრდას და საფუძველს ქმნის ხელმძღვანელობის პრაქტიკის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.

საერთო ჯამში, ამ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები აჩვენებს შესაბამისობის მაღალ დონეს მაგისტრანტების ხელმძღვანელობის მოთხოვნებთან. გამოკვეთილი ძლიერი მხარეები, როგორიცაა მხარდაჭერით გამსჭვალული ხელმძღვანელობა, კარგად განსაზღვრული რეგულაციები და აქტიური კურსდამთავრებულების ჩართულობა, ქმნის მყარ საფუძველს სტუდენტების წარმატებისთვის. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს ხელმძღვანელებისა და სტუდენტების თანაფარდობის ოპტიმიზაციას. აღნიშნული ასპექტების გათვალისწინება მეტად გააუმჯობესებს ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტიანობას და დადებით გავლენას მოახდენს სტუდენტების აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები **პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 კრედიტი**	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	11
მაგისტრანტების რაოდენობა	104
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	9,45

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები **პროგრამა 3. ფინანსები, მაგისტრატურა, 120 კრედიტი**	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	7
მაგისტრანტების რაოდენობა	30
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	4,28

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სამაგისტრო ნაშრომი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამით კმაყოფილების კვლევის ანგარიში
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა პანელის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

რეკომენდაციები:

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

- 3.2.1. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ განსაზღვროს ერთ ხელმძღვანელზე სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის ზღვარი, რათა შენარჩუნდეს ნაშრომის ხელმძღვანელობის ხარისხი და უზრუნველყოფილ იქნას უფრო ინდივიდუალური უკუკავშირი, რაც საბოლოოდ გააუმჯობესებს სტუდენტთა აკადემიურ გამოცდილებას.

პროგრამა 3. ფინანსები, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

რეკომენდაციები:

- 3.2.1. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ განსაზღვროს ერთ ხელმძღვანელზე სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის ზღვარი, რათა შენარჩუნდეს ნაშრომის ხელმძღვანელობის ხარისხი და უზრუნველყოფილ იქნას უფრო ინდივიდუალური უკუკავშირი, რაც საბოლოოდ გააუმჯობესებს სტუდენტთა აკადემიურ გამოცდილებას.

შეფასება

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	x	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებს - ბიზნესის ადმინისტრირების (საბაკალავრო), ბიზნესის ადმინისტრირების (სამაგისტრო) და ფინანსები (სამაგისტრო) - ახორციელების პერსონალი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფისათვის.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები, მათი განაწილება მოცემულია ცხრილებში.

პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა დგინდება პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დოკუმენტის მიხედვით, აკადემიური პერსონალის წლიური სამუშაო დატვირთვა შეადგენს 1,656 საათს. მაქსიმალური სასწავლო საათების რაოდენობა შეადგენს 764 საათს; ლექციის მომზადებისა და სილაბუსის შექმნის, შეფასებისა და თვითგანვითარების ინდიკატორია 1.0 კოეფიციენტი საათზე (764 საათი), ხოლო დარჩენილი მინიმალური 128 საათი გათვალისწინებულია სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისათვის.

აღნიშნული პრინციპის მიხედვთ, პერსონალის დატვირთვის საშუალო მაჩვენებელი შემდეგია:

- წლიური საკონტაქტო საათები: 248 საათი
- კურსების კოორდინაცია, სილაბუსის შემუშავება და შეფასება: 455 საათი
- სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა და პროფესიული განვითარება: 953 საათი

მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა ცალკე არ არის აღწერილი. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ისინი ძირითადად პედაგოგიური საქმიანობით არიან დაკავებული.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სტუდენტთა კონსულტირება აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვის ნაწილად არ ითვლება.

დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სათანადო განხორციელებასა და პერსონალის შესაბამისად ფუნქციონირებას.

პერსონალის რეკრუტირების პროცესი ორგანიზებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე საჯარო განცხადების, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების აყვანისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ პირადი მოწვევის გზით.

აკადემიური პოზიციები დაკავებულია და პერსონალი შეირჩევა კონკურენტული პროცედურით, რომელიც ეფუძნება ღიაობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს. აკადემიური კონკურსები ტარდება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“, უნივერსიტეტის წესდების და პერსონალის შერჩევის წესის შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაციის დადასტურება შესაძლებელია პროფესიული გამოცდილებით, განათლებით ან პუბლიკაციებით. პირი მიჩნეულია კვალიფიცირებულად, თუ მას გააჩნია კომპეტენცია, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს.

აკადემიური პერსონალის შერჩევა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს: ღია ვაკანსიის გამოცხადება უნივერსიტეტის ვებგვერდზე ან სხვა სპეციალიზებულ ვებგვერდებზე; კანდიდატთა საბუთების მიღება; საბუთების შესწავლა; გასაუბრება და, საჭიროების შემთხვევაში, საცდელი ლექციის ჩატარება; შერჩევის პროცესის საფუძველზე ბრძანების გამოცემა.

მოწვეული ლექტორები შერჩეული არიან კონკურსის ან რეკომენდაციებისა და პროაქტიული ძიების საფუძველზე მათი პირადი საქმის (CV), პროფესიული უნარების, პრაქტიკის, კვალიფიკაციისა და კურსების ხედვების მიხედვით. ყველა მოწვეული ლექტორი ვალდებულია წარადგინოს საცდელი ლექცია.

მოწვეულ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება ყოველწლიურად განახლებადია.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი დიპლომებითა და პრაქტიკული საქმიანობით. აფილირებული და მოწვეული პერსონალი ფლობს შესაბამის ცოდნას, გამოცდილებასა და კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია სტუდენტებისათვის პროგრამის სწავლის შედეგების უმეტესობის მიღწევაში დასახმარებლად.

რაც შეეხება სამეცნიერო საქმიანობას, როგორიცაა მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და სამეცნიერო სტატიები, ჯგუფს შეუძლია იმის ხსენება, რომ ეს უკანასკნელი კლასტერში შემავალი ყველა პროგრამისთვის შემცირებულია. გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ ბიზნესის სკოლას აქვს საკუთარი ხედვა სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებით. როგორც ESM-ის (ევროპული ბიზნესის მართვის სკოლა) მემკვიდრე, ისინი მიიჩნევენ, რომ მათი საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამეცნიერო ნაწილი. ჯგუფის მოსაზრებით, სწავლის შედეგების მისაღწევად პერსონალი ასევე უნდა იყოს ჩართული კვლევით საქმიანობაში. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვლევითი საქმიანობის გაძლიერებას.

პროგრამების ხელმძღვანელი ბიზნესის სკოლის დეკანია, რომელსაც ეხმარება ორი კოორდინატორი - ერთი საბაკალავრო, ხოლო მეორე სამაგისტრო სწავლების მიმართულებით. დეკანი ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს, რომელიც მიიღო ბერკლის უნივერსიტეტში, აქვს 20 წელზე მეტი გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში, აგრეთვე გააჩნია საერთაშორისო და პრაქტიკული გამოცდილება ბიზნესის ადმინისტრირებისა და ფინანსების მიმართულებით. ეს ადასტურებს, რომ იგი ფლობს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისათვის საჭირო ცოდნას. იგი ასევე იკავებს პროფესორის თანამდებობას და ჩართულია პროგრამების განხორციელებაში. კოორდინატორებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებლად განხორციელებას. ისინი სრულად არიან ჩართული პროგრამების ყველა აქტივობაში - შეფასებასა და განვითარებაში, განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებასა და მონიტორინგში.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობისათვის. მათ აქვთ თავიანთი პოზიციების შესაბამისი კვალიფიკაცია და სრულად არიან ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 კრედიტი

პროგრამის პერსონალის სტრუქტურა

პროგრამაში სულ ჩართულია 83 ადამიანი, მათ შორის 24 აკადემიური პერსონალი, 55 მოწვეული ლექტორი და 3 სამეცნიერო პერსონალი. აკადემიურ პერსონალში შედის 10 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ-პროფესორი, რომელთაგანაც ყველა (24) აფილირებულია უნივერსიტეტთან. აკადემიური პერსონალიდან დოქტორის ხარისხი აქვს 4 პირს, რაც დაახლოებით 5%-ს შეადგენს.

სტუდენტთა ჩარიცხვა და თანაფარდობები.

პროგრამაზე ჩარიცხულია 1189 სტუდენტი. პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობები შემდეგნაირია:

- აფილირებული აკადემიური პერსონალი/სტუდენტები 1:49:54 (0.02)
- სრული პერსონალი/სტუდენტები: 1:14.32 (0.69),
- კადემიური და მოწვეული პერსონალი 1:2.04 (0.49),
- პერსონალის გადინება (ბოლო 5 წლის განმავლობაში). აკადემიური პერსონალი: 20.8% გადინება (79.2% შენარჩუნება), მოწვეული პერსონალი 22.2% გადინება (71.4% შენარჩუნება).

სამეცნიერო აქტივობები.

სამეცნიერო აქტივობების საერთო რაოდენობა 148-ს შეადგენს, მათ შორის: 55 გამოქვეყნებული ნაშრომი (13 ადგილობრივ ჟურნალებში და 42 საერთაშორისო ჟურნალებში), 18 საკონფერენციო პრეზენტაცია (8 ადგილობრივ და 10 საერთაშორისო კონფერენციებზე), 75 სხვა სამეცნიერო ან კვლევითი აქტივობა.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა შეადგენს 2.04 მოწვეულ პერონალს თითო აკადემიურ პერსონალზე, რაც შეიძლება მიუთითებდეს მოწვეულ ლექტორებზე გადაჭარბებულ დამოკიდებულებაზე. თუმცა, მოწვეული პერსონალის გადინება დაახლოებით 22.2%-ს შეადგენს, რაც მიუთითებს შენარჩუნების მაღალ მაჩვენებლზე და გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მოწვეულ პერსონალს აქვს დაწინაურების ან აფილირებულ პერსონალად დასაქმების შესაძლებლობა.

სტუდენტებისა და აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა (49.54 სტუდენტი თითო აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე) მაღალია.

პერსონალის გადინების მაჩვენებელი აკადემიური პერსონალისთვის 20.8%-ია, ხოლო მოწვეული პერსონალისთვის 22.2%, რაც ზომიერად მაღალი მაჩვენებელია.

აკადემიური პერსონალიდან დოქტორის ხარისხი აქვს 4 პირს, რაც დაახლოებით 5%-ს შეადგენს. უნივერსიტეტის რექტორმა და ბიზნესის სკოლის დეკანმა აღნიშნეს, რომ ბიზნესის სკოლის აქცენტი გაკეთებულია ბიზნეს განათლების პრაქტიკულ ნაწილზე, ამიტომ მათთვის აკადემიური პერსონალის პრაქტიკული გამოცდილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი სამეცნიერო აქტივობა. გარდა ამისა, პროგრამა ზომიერ ერთგულებას ავლენს სამეცნიერო აქტივობების მიმართ: პროგრამაში ჩართულ თითო აკადემიურ პერსონალზე, ერთზე ნაკლები სამეცნიერო აქტივობა მოდის. პროგრამაში ჩართულ 83 ადამიანში მხოლოდ 55 პუბლიკაცია გვხვდება. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ აკადემიურ პერსონალს არ მოეთხოვება სამეცნიერო შედეგების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ პერსონალს ანაზღაურებას უხდიან სამეცნიერო აქტივობებისთვის, აღნიშნულის განხორციელება არ არის სავადლებულო. იმ პერსონალის მხრიდან, რომელთაც ნაშრომები ან კვლევითი პროექტები აქვთ აღინიშნა, რომ უნივერსიტეტისგან კვლევითი საქმიანობისთვის მხარდაჭერას არ მოითხოვენ, რადგან მათ საკუთარი დაფინანსება აქვთ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უნივერსიტეტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის პრაქტიკულ გამოცდილებაზე, არამედ მათ სამეცნიერო აქტივობაზეც. სხვა შემთხვევაში, პროგრამის მდგრადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, 240 კრედიტი

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**83**	**36**	**4**	**24**
- პროფესორი	10	3	1	10
- ასოცირებული პროფესორი	11	7	2	11
- ასისტენტ–პროფესორი	3	0	0	3
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	55	26	1	_
სამეცნიერო პერსონალი	3	0	0	_

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

პროგრამაში ჩართულია სულ 22 პირი, მათ შორის 8 აკადემიური პერსონალი, 3 სამეცნიერო პერსონალი და 11 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში შედის 4 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი. 8 აკადემიური პერსონალიდან, თითოეული აფილირებულია უნივერსიტეტთან.

სტუდენტთა ჩარიცხვა და თანაფარდობები.

პროგრამაზე ჩარიცხულია 322 სტუდენტი. პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობები შემდეგნაირია:

- აფილირებული აკადემიური პერსონალი/სტუდენტები 1:40.25 (0.02),
- სრული პერსონალი/სტუდენტები: 1:14.64 (0.68).
- კადემიური და მოწვეული პერსონალი 1:1,
- პერსონალის გადინება (ბოლო 5 წლის განმავლობაში). აკადემიური პერსონალი: 25.0% გადინება (75.0% შენარჩუნება), მოწვეული პერსონალი: 36.4% გადინება (63.6% შენარჩუნება).

სამეცნიერო აქტივობები.

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სამეცნიერო აქტივობების რაოდენობა შეადგენს 54-ს, მათ შორის: 9 გამოქვეყნებული ნაშრომი (6 ადგილობრივ ჟურნალებში და 3 საერთაშორისო ჟურნალებში), 3 საკონფერენციო პრეზენტაცია (2 ადგილობრივ და 1 საერთაშორისო კონფერენციაზე), 42 სხვა სამეცნიერო ან კვლევითი აქტივობა.

მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს შორის თანაფარდობა შეადგენს 1:1. თუმცა, მოწვეული პერსონალის გადინება 36.4%-ს შეადგენს, რაც მიუთითებს ზომიერად დაბალ შენარჩუნებაზე და რომელმაც მომავალში შეიძლება გავლენა მოახდინოს პროგრამაზე სწავლების ხარისხზე.

სტუდენტებისა და აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა (40.25 სტუდენტი თითო აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე) მაღალია.

პერსონალის გადინების მაჩვენებელი 25.0%-ია, რაც ზომიერად მაღალია.

პროგრამაზე სულ 11 სამეცნიერო ხელმძღვანელია, რაც არ აღემატება აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობას (11). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ყველა სამეცნიერო ხელმძღვანელი უნივერსიტეტთან აფილირებული პერსონალია.

დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა 4-ია, რაც სრული რაოდენობის დაახლოებით 18%-ს შეადგენს. უნივერსიტეტის რექტორმა და ბიზნესის სკოლის დეკანმა აღნიშნეს, რომ ბიზნესის სკოლის აქცენტი გაკეთებულია ბიზნეს განათლების პრაქტიკულ ნაწილზე, ამიტომ მათთვის აკადემიუი პერსონალის პრაქტიკული გამოცდილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი სამეცნიერო აქტივობა. გარდა ამისა, პროგრამა ზომიერ ერთგულებას ავლენს სამეცნიერო აქტივობების მიმართ. პროგრამაში ჩართულ 22 ადამიანში მხოლოდ 9 პუბლიკაცია გვხვდება. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ აკადემიურ პერსონალს არ მოეთხოვება სამეცნიერო შედეგების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ პერსონალს ანაზღაურებას უხდიან სამეცნიერო აქტივობებისთვის, აღნიშნულის განხორციელება არ არის სავადლებულო. იმ პერსონალის მხრიდან, რომელთაც ნაშრომები ან კვლევითი პროექტები აქვთ აღინიშნა, რომ უნივერსიტეტისგან კვლევითი საქმიანობისთვის მხარდაჭერას არ მოითხოვენ, რადგან მათ საკუთარი დაფინანსება აქვთ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უნივერსიტეტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის პრაქტიკულ გამოცდილებაზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სამაგისტრო პროგრამაზეა საუბარი, რომლის ფინალიზებაც სამაგისტრო ნაშრომით ხდება და რომელსაც ეროვნული მოთხოვნების მიხედვით სამეცნიერო მიდგომა უნდა ჰქონდეს. სხვა შემთხვევაში, პროგრამის მდგრადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[8]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[9]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

[8] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[9] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სულ აკადემიური პერსონალი	**22**	**22**	**4**	**8**
- პროფესორი	4	4	2	4
- ასოცირებული პროფესორი	3	3	1	3
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	0	1
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	11	11	1	_
სამეცნიერო პერსონალი	3	0	0	_

პროგრამა 3. ფინანსები, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

პროგრამაში ჩართულია სულ 18 პირი, მათ შორის 7 აკადემიური პერსონალი, 2 სამეცნიერო პერსონალი და 9 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში შედის 4 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი.

სტუდენტთა ჩარიცხვა და თანაფარდობები.

პროგრამაზე ჩარიცხულია 60 სტუდენტი. პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობები შემდეგნაირია:

- აფილირებული აკადემიური პერსონალი/სტუდენტები (7/60): 1:38.18 (0.03),
- სრული პერსონალი/სტუდენტები (18/60): 1:3.3 (0.3),
- აკადემიური/მოწვეული პერსონალი (9/9): 1:1,
- პერსონალის გადინება (ბოლო 5 წლის განმავლობაში). აკადემიური პერსონალი: 15.4% გადინება (83.3% შენარჩუნება), მოწვეული პერსონალი: 44.4% გადინება (55.6% შენარჩუნება).

სამეცნიერო აქტივობები.

სამეცნიერო აქტივობების რაოდენობა შეადგენს 54-ს, მათ შორის: 9 გამოქვეყნებული ნაშრომი (6 ადგილობრივ ჟურნალებში და 3 საერთაშორისო ჟურნალებში), 3 საკონფერენციო პრეზენტაცია (2 ადგილობრივ და 1 საერთაშორისო კონფერენციაზე), 42 სხვა სამეცნიერო ან კვლევითი აქტივობა.

მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს შორის თანაფარდობა შეადგენს 1:1. თუმცა, მოწვეული პერსონალის გადინება 44.4%-ს შეადგენს, რაც მიუთითებს ზომიერად დაბალ შენარჩუნებაზე, რამაც მომავალში შეიძლება გავლენა მოახდინოს პროგრამის სწავლების ხარისხზე.

სტუდენტებისა და აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა (38.18 სტუდენტი თითო აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე) მაღალია.

აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი 15.4%-ია, რაც ზომიერად მაღალია.

პროგრამაზე სულ 7 სამეცნიერო ხელმძღვანელია, რაც არ აღემატება აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობას (11). ეს ადასტურებს, რომ ყველა სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტთან აფილირებული პერსონალი.

დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა 3-ია, რაც სრული რაოდენობის დაახლოებით 17%-ს შეადგენს. უნივერსიტეტის რექტორმა და ბიზნესის სკოლის დეკანმა აღნიშნეს, რომ ბიზნესის სკოლის აქცენტი გაკეთებულია ბიზნეს განათლების პრაქტიკულ ნაწილზე, ამიტომ მათთვის აკადემიური პერსონალის პრაქტიკული გამოცდილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი სამეცნიერო აქტივობა. გარდა ამისა, პროგრამა ზომიერ ერთგულებას ავლენს სამეცნიერო აქტივობების მიმართ. პროგრამაში ჩართულ 18 ადამიანში მხოლოდ 9 პუბლიკაცია გვხვდება. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ აკადემიურ პერსონალს არ მოეთხოვება სამეცნიერო შედეგების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ პერსონალს ანაზღაურებას უხდიან სამეცნიერო აქტივობებისთვის, აღნიშნულის განხორციელება არ არის სავადლებულო. იმ პერსონალის მხრიდან, რომელთაც ნაშრომები ან კვლევითი პროექტები აქვთ აღინიშნა, რომ უნივერსიტეტისგან კვლევითი საქმიანობისთვის მხარდაჭერას არ მოითხოვენ, რადგან მათ საკუთარი დაფინანსება აქვთ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უნივერსიტეტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის პრაქტიკულ გამოცდილებაზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სამაგისტრო პროგრამაზეა საუბარი, რომლის ფინალიზებაც სამაგისტრო ნაშრომით ხდება და რომელსაც ეროვნული მოთხოვნების მიხედვით სამეცნიერო მიდგომა უნდა ჰქონდეს. სხვა შემთხვევაში, პროგრამის მდგრადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

პროგრამა 3. ფინანსების სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[10]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[11]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**18**	**18**	**3**	**7**
- პროფესორი	4	4	2	4
- ასოცირებული პროფესორი	2	2	1	2
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	0	1

[10] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[11] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	9	9	0	_
სამეცნიერო პერსონალი	2	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის მიხედვით, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან, რაოდენობის თვალსაზრისით.
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა პანელის შეხვედრები პროგრამების სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- 4.1.1 რეკომენდებულია დოქტორის ხარისხის მქონე მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვა კლასტერული პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად;
- 4.1.2. რეკომენდებულია კლასტერის ყველა პროგრამაში პერსონალის სამეცნიერო აქტივობის გაძლიერება;
- 4.1.3. რეკომენდებულია, პერსონალის მართვის დოკუმენტში მოწვეული პერსონალის წლიური დატვირთვისა და მისი განაწილების პრინციპების შემოღება;
- 4.1.4. რეკომენდებულია, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვაში სტუდენტების საკონსულტაციო საათების გათვალისწინება.

კლასტერის საერთო რჩევები:

- 4.1.1 სასურველია გადაიხედოს პროგრამაზე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რათა შემცირდეს სტუდენტების რაოდენობა ერთ აკადემიურ პერსონალზე.

- 4.1.2 სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს მოწვეული პერსონალის გადინებას, რათა მომავალში უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლების ხარისხი.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

- 4.1.1 რეკომენდებულია დოქტორის ხარისხის მქონე ან/და აქტიური სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მეტად ჩართვა, რაც უზრუნველყოფს მაგისტრანტების მიერ კვლევითი კომპეტენციების სწავლის შედეგის მიღწევას.

პროგრამა 3. ფინანსები, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

- 4.1.1 რეკომენდებულია დოქტორის ხარისხის მქონე ან/და აქტიური სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მეტად ჩართვა, რაც უზრუნველყოფს მაგისტრანტების მიერ კვლევითი კომპეტენციების სწავლის შედეგის მიღწევას.

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში შედის 2 სამაგისტრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება და ფინანსები. სამაგისტრო ნაშრომის მომზადება საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო ეტაპია.

უნივერსიტეტის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს სტუდენტები ირჩევენ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს შორის. არ არსებობს მოთხოვნა, რომ ხელმძღვანელი დოქტორის ხარისხს ფლობდეს.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

პირადი საქმეების ანალიზისას გამოვლინდა, რომ 11 ხელმძღვანელიდან მხოლოდ 2 ფლობს დოქტორის ხარისხს. ასევე, ხელმძღვანელთა ბოლო ხუთი წლის სამეცნიერო აქტივობების ანალიზისა და მათთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებს არ გამოუქვეყნებიათ სამეცნიერო სტატიები ან მონაწილეობა არ მიუღიათ ისეთ კვლევით პროექტებში, რომლებიც თანხვედრაშია მათი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი სამაგისტრო ნაშრომების თემატიკასთან. სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის ანალიზმა აჩვენა, რომ მათი უმეტესობა დაკავშირებულია ბიზნეს-გეგმებთან. პროგრამის მენეჯერების თქმით, ისინი სამაგისტრო ნაშრომების თემებად ბიზნეს-გეგმებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს ირჩევენ, რადგან ეს არის მათი სპეციალური ნიშა საგანმანათლებლო ბაზარზე და აღნიშნული მიდგომა მემკვიდრეობით მიიღეს წინამორბედი ბიზნეს-სკოლიდან.

ამავდროულად, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები მოსალოდნელია, რომ ფლობდნენ დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ სამეცნიერო ხარისხს, ან ჰქონდეთ აქტიური აკადემიური ან კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნაშრომებით, პროექტებში მონაწილეობით ან შესაბამის სფეროში სწავლების გამოცდილებით. დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელთა მცირე რაოდენობა და მათი უახლესი სამეცნიერო აქტივობების ნაკლებობა აჩენს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, შეძლებენ თუ არა ეს ხელმძღვანელები, სტუდენტებს მიაწოდონ თანამედროვე და აქტუალური აკადემიური ხელმძღვანელობა ნაშრომის მომზადების პროცესში.

პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	11	2	8
- პროფესორი	4	2	4

- ასოცირებული პროფესორი	3	0	3
- ასისტენტ–პროფესორი	1	0	1
მოწვეული პერსონალი	-	0	_
სამეცნიერო პერსონალი	3	0	-

პროგრამა 3. ფინანსები, მაგისტრატურა, 120 კრედიტი

პერსონალის პირადი საქმეების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ნაშრომების 7 ხელმძღვანელიდან მხოლოდ 3 ფლობს დოქტორის ხარისხს. ასევე, ხელმძღვანელთა ბოლო ხუთი წლის სამეცნიერო აქტივობების ანალიზისა და მათთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებს არ გამოუქვეყნებიათ სამეცნიერო სტატიები ან მონაწილეობა არ მიუღიათ ისეთ კვლევით პროექტებში, რომლებიც თანხვედრაშია მათი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი სამაგისტრო ნაშრომების თემატიკასთან. სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის ანალიზმა აჩვენა, რომ მათი უმეტესობა დაკავშირებულია ბიზნეს-გეგმებთან. პროგრამის მენეჯერების თქმით, ისინი სამაგისტრო ნაშრომების თემებად ბიზნეს-გეგმებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს ირჩევენ, რადგან ეს არის მათი სპეციალური ნიშა საგანმანათლებლო ბაზარზე და აღნიშნული მიდგომა მემკვიდრეობით მიიღეს წინამორბედი ბიზნეს-სკოლიდან.

ამავდროულად, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები მოსალოდნელია, რომ ფლობდნენ დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ სამეცნიერო ხარისხს, ან ჰქონდეთ აქტიური აკადემიური ან კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნაშრომებით, პროექტებში მონაწილეობით ან შესაბამის სფეროში სწავლების გამოცდილებით. დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელთა მცირე რაოდენობა და მათი უახლესი სამეცნიერო აქტივობების ნაკლებობა აჩენს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, შეძლებენ თუ არა ეს ხელმძღვანელები, სტუდენტებს მიაწოდონ თანამედროვე და აქტუალური აკადემიური ხელმძღვანელობა ნაშრომის მომზადების პროცესში.

პროგრამა 3. ფინანსების სამაგისტრო პროგრამა, 120 კრედიტი			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	7	3	7
- პროფესორი	4	2	4

- ასოცირებული პროფესორი	2	1	2
- ასისტენტ–პროფესორი	1	0	1
მოწვეული პერსონალი	0	0	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის მიხედვით, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან, რაოდენობის თვალსაზრისით.
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა პანელის შეხვედრები პროგრამების სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- 4.2.1 რეკომენდებულია დოქტორის ხარისხის მქონე მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვა ნაშრომების ხელმძღვანელებად;
- 4.2.2 რეკომენდებულია დაწესებულებამ მეტი ყურადღება დაუთმოს აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობას, რაც მიზნად ისახავს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების გაძლიერებას.

კლასტერის საერთო რჩევები:

- 4.2.1 სასურველია ნაშრომების ხელმძღვანელობაში დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პერსონალის ჩართვა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	**x**	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

უნივერსიტეტმა შეიმუშავა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმები. პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესი მოიცავს სწავლების, კვლევითი, პროფესიული და შემოქმედებითი საქმიანობების შეფასებას. კვლევითი კომპონენტის შეფასების მექანიზმი შედგება თანამშრომლების მიერ წარდგენილი კვლევითი აქტივობების წლიური თვითშეფასებისგან. წლიური შედეგები ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ერთიანდება და ანალიზდება, ყოველწლიური დინამიკის გათვალისწინებით.

შეფასების კრიტერიუმები ცნობილია და გავრცელებულია პერსონალს შორის:

- ცოდნის ფონდისა და უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერა
- წლის განმავლობაში მიღებული გრანტები
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და შენობების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა
- რეცენზირებად მაღალი სამეცნიერო გავლენის მქონე ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ციტირების ინდექსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- გამოქვეყნებული წიგნები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები
- სასწავლო პროცესში ჩართულობა და შესაბამისი სამუშაო დატვირთვა
- დოქტორანტების ხელმძღვანელობა და დისერტაციები

სასწავლო აქტივობების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება მათი პედაგოგიური უნარებისა და კურსის მართვის მიხედვით. უნარებსა და კომპეტენციებს აფასებს სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის: რექტორი, პრორექტორები, დეკანი, პროფესიული განვითარების მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და სტუდენტი. ფაკულტეტი იყენებს პერსონალის განვითარების პროაქტიულ და რეაქტიულ მიდგომებს. პროაქტიული მიდგომა ფოკუსირებულია აკადემიური პერსონალის ეფექტურ ჩართულობაზე აკადემიურ პროცესში და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე წინასწარ დაგეგმილი პერიოდული ტრენინგებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების გზით. რეაქტიული მიდგომა გულისხმობს ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებას საჭიროების შემთხვევაში, რათა უზრუნველყოს შესაბამისი აქტივობების ეფექტური განხორციელება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს არ აქვს წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გასაზრდელად. არ არის განსაზღვრული შეფასებისა და შემდგომი განვითარების მექანიზმები, თუ პერსონალი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს წლიური ან სამწლიანი შეფასების დინამიკის ფარგლებში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ ყველა თანამშრომელს ჰქონდეს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები და თანაბარი პირობები იყოს შექმნილი პერსონალის ყველა კატეგორიისთვის. პერსონალის მრავალფეროვანი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, უნივერსიტეტი სთავაზობს პროფესიული განვითარების სხვადასხვა კომპონენტებს, მათ შორის ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორიცაა კონფერენციები, სიმპოზიუმები, სემინარები და ვორკშოპები, ასევე გრანტების მიღებისა და სხვა ტრენინგების შესაძლებლობებს. თუმცა, წარდგენილი დოკუმენტებისა და პერსონალთან ჩატარებული გასაუბრების მიხედვით გაირკვა, რომ ამ შესაძლებლობებით მხოლოდ რამდენიმე მათგანი სარგებლობს და ისიც არარეგულარულად.

პერსონალის კვლევითი საქმიანობის დაფინანსების პროცესი მოიცავს ღია განაცხადის ფორმატს, რათა მიღებულ იქნას ადმინისტრაციის დასტური დაფინანსებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის ბიუჯეტში, რომელიც ერთიანია და არ მოიცავს სპეციფიურ მითითებებს კონკრეტულ პროგრამებთან დაკავშირებით, ყოველ აკადემიურ წელს სრული ხარჯების მინიმუმ 6.6%-ია (3.5% - საგარეო გრანტები, 3.2% - შიდა რესურსები) გამოყოფილი კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისთვის.

ვიზიტის დროს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ასევე დაადასტურა, რომ მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტი მათ მხარს უჭერს ყველა საჭირო ლიტერატურით, რათ განაახლონ და გაამდიდრონ მასალები და გააუმჯობესონ კვლევითი და სასწავლო საქმიანობა. საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე წვდომა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სივრცეებიდან, რაც უზრუნველყოფს პროფესიული ლიტერატურის ფართო არჩევანს პერსონალისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის საქმიანობისა და პროფესიული განვითარების შეფასების მექანიზმები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- 4.3.1. რეკომენდებულია პერსონალის კატეგორიებისთვის მოთხოვნების დადგენა და ამ წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებთან საქმიანობის შესრულების შეფასება, აგრეთვე შესაბამისი რეაგირების მექანიზმების შემუშავება აკადემიური პერსონალის კვლევისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის სისტემური და ეფექტური პროგრესის უზრუნველსაყოფად.

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	**x**	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ადმინისტრირება და მათ ფარგლებში კურსების განხორციელება ხორციელდება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო შენობებში (კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N240, თბილისი 0159, საქართველო).

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებსა და ფინანსების სამაგისტრო პროგრამაში.

აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: სასწავლო მაგიდები, დაფები, სკამები, კომპიუტერები და პროექტორები.

სტუდენტებს, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს წვდომა აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, ინტერნეტთან დაკავშირებულ კომპიუტერულ აღჭურვილობაზე და შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაზე, რომელთა გამოყენება/სწავლება გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სილაბუსებით. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს უფასო უკაბელო ინტერნეტ ქსელი (WiFi).

საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი ახორციელებს ელექტრონული სერვისების სისტემას, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია და მონიტორინგდება მათი აკადემიური მოსწრება. ელექტრონული მართვის სისტემა იძლევა ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების, სასწავლო პროცესის დაგეგმვა/ ჩატარების, ასევე სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები, პრინტერი და ასლის აპარატი). ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, რომელსაც კვალიფიციური პერსონალ ჰყავს. საკითხვი დარბაზში სტუდენტებს და პერსონალს აქვთ წვდომა კომპიუტერებზე, ინტერნეტზე, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე, ასევე პრინტერსა და ასლის აპარატზე. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ელექტრონული ლიტერატურის საძიებო სისტემა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: https://freeuni.edu.ge/en/research/library/?research=general-info

სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე, როგორიცაა JSTOR (მულტიდისციპლინური ციფრული ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს 2000-ზე მეტ აკადემიურ ჟურნალს), Scopus (სამეცნიერო ელექტრონული ბაზა, რომელიც მოიცავს ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს, ანოტაციებს და ციტირების ინდექსებს 1995 წლიდან), Science Direct (სამეცნიერო ელექტრონული ბაზა, რომელიც მოიცავს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს), Project Gutenberg (მულტიდისციპლინური ღია წვდომის ბაზა, რომელიც მოიცავს 53 000-ზე მეტ ელექტრონულ წიგნს), HeinOnline (ონლაინ პლატფორმა იურიდიული მიმართულებისთვის, რომელიც მოიცავს ჟურნალებს,

სამთავრობო დოკუმენტებსა და საქმეებს) და სხვ. https://freeuni.edu.ge/en/research/library/?research=science-bases

ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღის განმავლობაში: ორშაბათი-პარასკევი: 10:00 - 21:00, შაბათი: 10:00 - 18:00

ბიბლიოთეკის გამოყენების წესები გამოფენილია შესამჩნევ ადგილას ბიბლიოთეკაში, ასევე განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.

დაინტერესებული პირები ინფორმირებულნი არიან უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობებზე და მათი მოხმარების პროცედურაზე.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის - ESM- ის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: სასწავლო მაგიდები, დაფები, მაგიდები, სკამები და ტექნიკა (მათ შორის პროექტორები). სტუდენტებს, აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს წვდომა აქვთ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამაზ, საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და კომპიუტერული აღჭურვილობაზე, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული ინსტრუმენტებით და დაკავშირებულია ინტერნეტთან. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები, პრინტერი და ასლის აპარატი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- კახა ბენდუქიძის კამპუსის დათვალიერება, დავით აღმაშენებლის ხეივანი N240, თბილისი 0159, საქართველო.
- ვიზიტის დროს ბიზნესის სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერება.
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	**x**	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წყაროები მოიცავს სწავლის საფასურს, სახელმწიფო გრანტებს, ცოდნის ფონდის გრანტებს, უნივერსიტეტის სასერტიფიკატო პროგრამებს. გარდა ამისა, თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ფინანსდება დაწესებულების მიერ ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლებით.

უნივერსიტეტის 2023-2024 სასწავლო წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს ხარჯებს, რომლებიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების მხარდაჭერას:

1. აკადემიური პერსონალის ხელფასები - საერთო ხარჯების 20.5%;
2. სამეცნიერო და კვლევითი გრანტები - საერთო ხარჯების 6%;
3. ინდივიდუალური კვლევისა და პროფესიული განვითარების სახსრები - საერთო ხარჯების 3.2%;
4. ბიბლიოთეკის განვითარების სახსრები - საერთო ხარჯების 0.5%;
5. აკადემიური ხარჯები - საერთო ხარჯების 2.9%;

6. საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების ხარჯები - საერთო ხარჯების 2.5%;

7. ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასები - საერთო ხარჯების 8.6%.

საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ინტეგრირებულია თავისუფალი უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში. შესაბამისად, ზემოთ მოცემული ხარჯები მოიცავს კლასტერში დაჯგუფებული და წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების ხარჯებს. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები უზრუნველყოფს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსურ სტაბილურობას და მდგრადობას, ისე კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის განხორციელებასა და განვითარებას.

ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია უნივერსიტეტის ბიუჯეტის, კონკრეტულად კი თავისუფალი უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებისა და ხარჯების ტიპების შესახებ, თანაბრად ვრცელდება კლასტერში დაჯგუფებულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაბამისად, ინდივიდუალური პროგრამებისთვის დამატებითი ინფორმაცია არ არის მოწოდებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგები;
- თავისუფალი უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- 4.5.1. სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის არსებობდეს ცალკე ბიუჯეტი, რათა ნათელი იყოს პროგრამების ფინანსური მდგომარეობა და უზრუნველყოფილ იქნას მათი მდგრადობა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	x	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	x	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

თავისუფალმა უნივერსიტეტმა განსაზღვრა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც პრიორიტეტად ისახავს ხარისხის ტოტალურ მართვას (Total Quality Management), ხარისხის კონტროლსა და განვითარებაში ყველა სტრუქტურული ერთეულის პირდაპირი და არაპირდაპირი ჩართულობით სწავლა-სწავლების და კვლევითი პროცესების ოპტიმიზაციის გზით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს სისტემურ გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის, სერვისებისა და რესურსების შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს სისტემურ გამოკითხვებზე, რომლებიც მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს, რათა გააანალიზოს შეფასების შედეგები, უზრუნველყოს ეფექტიანი მონიტორინგი, განსაზღვროს სტრატეგიული განვითარების მიზნები და ჩამოაყალიბოს განვითარების ტენდენციები. წარდგენილი დოკუმენტების შეფასებისა და აკრედიტაციის ვიზიტის მიგნებების მიხედვით, პროგრამების შეფასება უნივერსიტეტში თანმიმდევრულად ტარდება და შეფასების შედეგები, ზოგადად, გამოიყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია PDCA - „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე“ პრინციპზე. ხარისხის შიდა შეფასების პროცესში ჩართული არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ახალისებს პროგრამის პერსონალის ჩართულობას კონსტრუქციული შეფასების პროცესში, შესაბამისად, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მზადდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. თვითშეფასების პროცესი და სამუშაო ჯგუფში შესაბამისი დავალებების განაწილება უზრუნველყოფს სამომავლო განვითარების რელევანტურ შესაძლებლობებზე მუშობას.

ხარისხის შიდა შეფასების პროცესში გამოიყენება საჭიროებაზე დაფუძნებული გამოკითხვები, რომლებიც მიზნად ისახავს პრობლემების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესების ინტერვენციებს. ეს გამოკითხვები მიზნად ისახავს სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნების გამოვლენას, ასევე ტარდება სტუდენტებისა და პერსონალის წლიური კმაყოფილების გამოკითხვები, რათა შეფასდეს პროგრამის ზოგადი ადმინისტრირება და სერვისების ხელმისაწვდომობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გამოკითხვის ფორმები;
- სემესტრული შეფასების ანგარიში
- ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი";
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- 5.1.1 სასურველია, პროგრამებმა პერიოდულად ისარგებლონ კოლეგიალური შეფასებითა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

თავისუფალ უნივერსიტეტში გარე ხარისხის უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების მეშვეობით, რომელსაც მართავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. უნივერსიტეტი, როგორც წესი, განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს, მიგნებები კი გამოიყენება შემდგომი განხილვისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან.

თავისუფალი უნივერსიტეტის კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს სხვადასხვა პერიოდში, 2018-2019 წლებში აქვთ მიღებული აკრედიტაცია. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებმა აკრედიტაცია მიიღეს 2018 წლის 31 აგვისტოს, ხოლო ფინანსების სამაგისტრო პროგრამამ

– 2019 წლის 5 მარტს. პროგრამებში ცვლილებები ძირითადად შეეხო მიღების წინაპირობების გადახედვას, სასწავლო გეგმებში ცვლილებებს არჩევითი და სავალდებულო კურსების განაწილების კუთხით, არჩევით საგნებზე მეტი შესაძლებლობების შექმნას და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამებში კონცენტრაციების გაუქმებას. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყველა წინარე აკრედიტაციის პროცესის მიგნებების გათვალისწინებას, რაც დამატებით დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და აკრედიტაციის ვიზიტით, პროგრამებისთვის მაინც მეტად სასარგებლო იქნება, თუ ისინი განავითარებენ შემდგომ პერსპექტივებს ადგილობრივი ან საერთაშორისო დარგობრივი პროფესიონალების მხრიდან განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები წინა აკრედიტაციის შემდეგ
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- 5.1.1 სასურველია პროგრამებმა პერიოდულად ისარგებლონ კოლეგიალური შეფასებითა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	X	☐	☐	☐

პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

პროგრამების განვითარებისა და სერვისების გაუმჯობესებისთვის თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას. შეფასების პროცესში ჩართული არიან როგორც შიდა, ასევე გარე დაინტერესებული მხარეები. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან მიღებული ინფორმაცია უნივერსიტეტის სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია. შესაბამისად, მონიტორინგის პროცესი უზურნველყოფს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის სისტემური შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს. ყოველი სავალდებულო კურსის დასრულებისას, სტუდენტები ავსებენ კურსის შეფასების ფორმას. საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზდება ფოკუს ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები. სემესტრულ და წლიურ გამოკითხვებში, კმაყოფილებისა და საჭიროებათა შეფასების მეთოდები გამოიყენება, გაუმჯობესებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირებისათვის და ეფექტიანი მონიტორინგის პროცესის უზრუნველსაყოფად. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები ასევე სარგებლობენ სწავლების პროცესის კოლეგიალური დაკვირვებითა და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობით. შეფასების პროცესის შედეგები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებს შორის და გამოიყენება პროგრამების გაუმჯობესებისთვის.

შეფასების პირდაპირი მეთოდები გამოიყენება პროგრამის მიზნების მიღწევის დონის, სწავლის შედეგების შეფასებისა და შეფასების (ქულების) სტატისტიკის ანალიზისათვის. ყოველი სემესტრის ბოლოს ხორციელდება სტუდენტების აკადემიური მიღწევების მონიტორინგი და შეფასების შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ საგანმანათლებლო პროცესების გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტი იყენებს კონკრეტულ პროგრამებზე მონიტორინგის პერიოდული ანგარიშების პრაქტიკას, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროდან შეგროვებულ ინდიკატორებსა და ინფორმაციას, როგორიცაა მიღების სტატისტიკა, მობილობა, შეფასებების განაწილება, კურსდამთავრებულთა დასაქმება და კარიერული განვითარება, სტუდენტების ექსტრაკურიკულარული აქტივობა და სხვა.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მინიჭებული აქვს ACCA-ს სერტიფიკატი, რომელიც სერტიფიცირების გამოცდებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას იძლევა პროგრამის დასრულების შემდეგ. სერტიფიკატი ძალაშია 2028 წლის 31 დეკემბრამდე. თუმცა, რეკომენდებულია, პროგრამები შედარდეს საერთაშორისო უნივერსიტეტებში არსებულ მსგავს ან მომიჯნავე პროგრამებს, რაც შექმნის თანამედროვე გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები;
- ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი";
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ACCA სერტიფიკატი
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

5.3.1. რეკომენდებულია, კლასტერის პროგრამების საორიენტაციოშედარება წამყვან საერთაშორისო საუნივერსიტეტოპროგრამებთან და მათი გამოცდილების გათვალისწინება.

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	x	☐	☐	☐

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (თთუ)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:

- **პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 კრედიტი**
- **პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 კრედიტი**
- **პროგრამა 3. ფინანსები, მაგისტრატურა, 120 კრედიტი**

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი **სტანდარტი**	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, 240 ECTS	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა, 120 ECTS	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3 ფინანსები, მაგისტრატურა, 120 ECTS	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

კაროლინა ტიმკო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სოფიო ხუნდაძე

თეა კასრაძე

თამთა ცხოვრებაძე

ლიკა კვინჩია